...კომისართა საბჭო
საინფორმაციო-განყოფილების
კომპლექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24
მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ოთხშაბათი, 14 იანვარი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 11 (1166)

დღიური

— ლონდონს და გერმანია-საფრანგეთის ნაპირებს ღრმა ნისლი ფარავს.

— გერმანია-პოლონეთს შორის დადებულ იქნება სავაჭრო ხელშეკრულება.

— ჩინეთში კვლავ იწყება სამოქალაქო ომი.

— ერრიო დღეს გამოვა დეპუტატთა პალატაში.

— ქ. ბერსლაუს (გერმანია) ხაზინის მრჩეველმა ს.-დ. რაშემ გაფლანგა 40.000 ოქროს მარკა.

სიმართლე ინგლისის მუშათა დელეგაციის შესახებ

ამ დღეებში ჩვენ გამოვაქვეყნეთ ამხ. პერსელის ვრცელი წერილი, სადაც მოთხრობილი იყო „სიმართლე საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შესახებ" (ასეთი იყო სათაური წერილის). მუშათა პრესა იძულებულია ალაპარაკდეს მეორენაირ სიმართლეზე, რომელიც შეეხება უკვე არა ჩვენ საბჭოთა კავშირს, არამედ ინგლისის პროფკავშირების დელეგატებს, რომლებმაც გაბედეს ეთქვათ ჭეშმარიტება მუშურ-გლეხურ სახელმწიფოზე, და რომელთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ომი დაიწყეს რეაქციის ყველა ძალებმა. როგორ ცილისწამებასა და ჭორს არ მიმართეს გაბატონებულმა კლასებმა და მათმა პრესამ: პერსელი და მისი ამხანაგები არიან კომუნისტების მიერ მოსყიდულები, მათ ატყუებს საბჭოთა მთავრობა, ჩეკა საშუალებას არ აძლევს მათ დაუახლოვდნენ ნამდვილ ხალხს, გაიგონ მისი ჭირვარამი, ის, რასაც ამბობენ და სწერენ ბრომლეი, ბენ-ტილლეტი და მათი ამხანაგები — ყოველისფერი ეს ნაკარნახევია მმართველი პარტიისა და მთავრობის მიერ, ნაბიჯები მთელი დელეგაციისა ნაძალადევი, ძალდატანებითია — ასეთი იყო „ხორო" მრავალპიროვანი ბურჟუაზიული პრესის.

გასაგებია მიზეზი ასეთი კამპანიისა. ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციამ სიმართლე ჩაუტანა ამათ ინგლისის პროფკავშირებს მათი ძმური კავშირების კერძოთ და საერთოთ მუშათა სახელმწიფოს შესახებ. ეს იყო ისეთი სიმართლე, რომელიც შეუპოვრათ იპრებოდა რეაქციისაგან ბოლშევიკების შესახებ გავრცელებული ტყუილების ნისლში, სერავდა მას და საჯაროზე გამოჩნდა არა მარტო საქმის ნამდვილი მდგომარეობა ჩვენს რესპუბლიკებში, არამედ საბჭოთა სახელმწიფოებისადმი კლასიური ლვარძლი და მტრობაც, რომლებიც საფუძვლათ ედო ამ ცილისწამებისა და ტყუილების კორიანტელს.

მაგრამ არა მარტო ბურჟუაზია და მისი პრესა გამოვიდა დელეგაციის წინააღმდეგ. მათ ხმას აყვენ ინგლისის პროფკავშირების ზოგიერთი მემარჯვენე „ბელადებიც". მაგრამ ტრედ-იუნიონების მასების ერთსულოვანება ისეთი იყო და არის, იმდენათ აქვთ მათ გაზვინილი მეგობრობის გრძნობა საბჭოთა კავშირის მუშებისა და მათი მთავრობისადმი, რომ ეს „ბელადები" იძულებული შეიქნენ ჯერჯერობით მიჩუმებულიყვნენ. ამ მემარჯვენეების სულისკვეთების დამარღვეველია ის კილოც, რომელიც შეითვისა ამ საკითხში მუშათა პარტიის ორგანომ „დეილი ჰერალდ". აი რას სწერს თვით ეს გაზეთიც: „ბევრი შეიყვანა შეცდომაში კაპიტალისტური პრესის კამპანიამ. ეს პრესა ამბობდა, რომ ინგლისის პროფკავშირების დელეგაცია მოსკოვში ჭკუაზე შეიშალაო. იგივე პრესა ცდილობდა შთაბეჭდილება მოეხდინა, თითქოს დელეგაციის წევრები ისეთი ბრიყვები აღმოჩნდენ, რომ ადვილათ შეიქნენ მოტყუებული. მაგრამ ცხადია ყველასათვის, ვინც იცნობს პერსელს, ბრამლის ან სმიტს, რომ ასეთი აზრი სასაცილოა. ამაზე უფრო დიდ ტყუილს ვერ იტყვი ისეთ ამხანაგებზე, რომლებიც არიან ფრიად ფრთხილნი თავიანთი აზრის შედგენაში და რომლების მოტყუება შეუძლებელია. და აი ცნობები საბჭოთა კავშირზე იმ ამხანაგების მიერ გავრცელებული, რომლებსაც კარგათ იცნობენ ინგლისის მუშები და რომლებიც სარგებლობენ ამ უკანასკნელების სრული ნდობით — ეს ცნობები ყველაზე უფრო ადვილათ გაფანტავენ კაპიტალისტური გაზეთების მიერ გავრცელებულ ჭორებს".

ჩვენ ვხედავთ ამნაირათ, რომ ის ხელმძღვანელი წრეები ინგლისის პროფკავშირების, რომლებიც მხარს უჭერენ პერსელს, იმდენათ ძლიერი და გავლენიანი არიან, რომ მათ ტონზე აწყობს თავის ხმას, თავის გამოსვლას თვით ოფიციალური ორგანოც მუშათა პარტიისა. პერსელისა და ამხანაგების გავლენას უნდა მიეწეროს ის დამარცხებაც, რომელიც იგემეს ყვითელი ინტერნაციონალების კონფერენციაზე ყველა ქვეყნის (და მათ შორის რუს და ქართველ) მენშევიკებმა, რომლებიც გააფთრებით გამოდიოდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მოითხოვდენ რეზოლუციის მიღებას საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ.

ამნაირათ ინგლის-საბჭოთა მუშათა მასების მჭიდრო კავშირის და საერთოთ მუშათა მთლიანი ფრონტის იდეას ჰყავს ძლიერი და გავლენიანი დამცველები უძლიერეს პროფკავშირების ქვეყანაში. და საერთო ძალით, თანდათანობით, გაუტეხელი ენერგიით მიაღწევს ორივე ქვეყნის პროფმოძრაობა საერთაშორისო ერთიანი ფრონტის შექმნას.

ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციამ ხელი შეუწყო არა მარტო ჭეშმარიტი ცნობების გავრცელებას საბჭოთა ქვეყნების ცხოვრების შესახებ, არამედ ძლიერი ბრძოლის დაწყებასაც საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მთლიანობისათვის.

ასეთია სიმართლე ინგლისის პროფკავშირების დელეგაციის შესახებ და ამ სიმართლეს ველარ მალავენ მასების გავლენით ინგლისის მუშათა მოძრაობის თვით მემარჯვენე ხელმძღვანელებიც.

სოფლის კოოპერატიულ აპარატის გაჯანსაღებისათვის

კოოპერაციის აპარატი სოფლად შექმნილია იმ აზრით, რომ გაძლიერებულ და განმტკიცებულ იქნეს კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის, სოციალიზაციაქმნილ მრეწველობასა და გლეხის მეურნეობის შორის. ეს ეხება როგორც სამომხმარებლო, ისე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას. სოფლის კოოპერაციისათვის დაკისრებულ ამოცანათა მოხერხებულად გადაჭრაზე დიდად არის დამოკიდებული საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება სამეურნეო ფრონტზე.

სოციალიზაციაქმნილ მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობის შორის წესიერ ურთიერთ დამოკიდებულების გარეშე წარმოუდგენელია საერთოდ მწარმოებელ ძალთა განვითარება. მრეწველობის აღორძინების საკითხი მჭიდროდ დაკავშირებულია სასოფლო-მეურნეობის აღორძინებისა და გაუმჯობესების საკითხთან. ამიტომაც ის აპარატი, რომელიც მოწოდებულია მეურნეობის ამ სახეთა შორის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, უნდა იყოს მოქნილი, მოძრავი და უნარი უნდა ჰქონდეს ყოველ წამს შეასრულოს ცენტრის დავალება.

როგორც ვიცით, გლეხები მომხრე არ არიან ისეთის აპარატის დატოვებისა, რომლის შენახვაზეც ფული იხარჯება, თვითი მოსახლეობის ფართო წრეების კონტროლის გარეშე. ამ მხრით კოოპერატიული აპარატი სოფლად, თითქოს, უნდა აკმაყოფილებდეს გლეხთა დიდის უმრავლესობის პრეტენზიებს. ყველა სასოფლო კოოპერატივთან არსებობს სარევიზიო კომისია, რომელიც ამოწმებს გამგეობის წევრთა მოქმედებას, თვალყურს ადევნებს საქმის მსვლელობას და სხვა.

მიუხედავათ ამისა, ბევრს კოოპერატივში შტატები გაბერილია, რაიც იწვევს უკმაყოფილებას მოსახლეობის უღარიბეს წრეების მხრით. შტატის შენახვა ზედმეტ ბარგად აწვება მომხმარებელთ, ვინაიდა იგი ადიდებს ქალაქის მრეწველობის ნაწარმოებთა ღირებულებას. ამ მხრით საჭიროა სასწრაფო ღონისძიებათა მიღება, რათა კოოპერაციის აპარატი გაიაფდეს და იგი გახდეს საზოგადოების წევრთათვის ხელსაყრელი და სასარგებლო.

მაგრამ საკმარისი არ არის შტატის მინიმუმამდე შემცირება. შტატის შემცირება მაინც და მაინც დიდს სარგებლობას ვერ მოიტანს, თუ ზომები არ იქნება მიღებული საერთოდ კოოპერატივების ბრუნვათა გასადიდებლათ და გასაძლიერებლათ. კოოპერატივებს საქონლის შედარებით მცირე ბრუნვის დროს ხომ არ შეუძლიათ გაისტუმრონ თუ ვინდა ერთი ნოქარის შესანახი ხარჯი. უნოქროდ კი ვერც ერთს კოოპერატივს ვერ შეუძლიან არსებობა. საქონლის ბრუნვის გადიდება თავის მხრით დამოკიდებულია კოოპერატივის სამოქმედო რაიონის სყიდვითი უნარიანობაზე, საპაიო თანხების დაგროვებაზე და საერთოდ საზოგადოების საკუთარ საშუალებათა გადიდებაზე.

კოოპერაციის საბრუნავ საშუალებათა 70 პროც. გარედან მიზიდული თანხები შეადგენს საქართველოში. ასეთივე სურათია აზერბაიჯანში.

ასეთს პირობებში წარმოუდგენელია სოფლისთვის ქალაქის მრეწველობის ნაწარმოებთა მიწოდების საქმის მოწესრიგება სათანადო კრედიტის უქონლათ. საბჭოთა მრეწველობა, თავის საზიანოთ, საქონელს გასასაღებლათ აძლევს კოოპერატიულ ორგანიზაციებს ნისიათ. თავის მხრით სოფლის კოოპერატივი, რომელიც საქონელს იღებს კოოპერატივთა კავშირისაგან, საჭიროდ არ სთვლის მტკიცედ დაიცვას თამასუქით ვალის გადახდის ვადა და მით არღვევს კრედიტის გეგმას მომავლისათვის. ხშირათ საქონლის გაყიდვასთან მიღებულ საშუალებებს კოოპერატივის გამგეობა თამასუქების გამოსყიდვას კი არ ახმარებს, არამედ სულ სხვა მიზნებს.

ამრიგად, საშუალებანი, წარმოების პროდუქტთა სახით, ქალაქიდან სოფელში მიდის, ხოლო ამ პროდუქტთა ღირებულების „უკან დენას"—ველარ ვხედავთ. ამ გარემოებას, რასაკვირველია, კრიზისის გამოწვევა შეუძლია არა მარტო ვაჭრობაში, არამედ მრეწველობაშიაც. აი, ამიტომ დაისვა საკითხი კერძო კაპიტალისა და კერძო აპარატის გამოყენებაზე მრეწველობის პროდუქტების გასაღების საქმეში. სწორეთ ეს საკითხი წამოაყენა პროფკავშირთა მეექვსე ყრილობაზე ამხ. რიკოვმა. რად მოხდა ეს? იმიტომ, რომ სოფლის კოოპერატივები არ ცდილობენ თავის ვალდებულების მოხდას საკავშირო გაერთიანებათა წინაშე, ხოლო კავშირები თავის მხრით მოკლებულნი არიან შეძლებას—გაცემული თამასუქები გამოისყიდონ.

ქალაქის მრეწველობის საქონლის საჭიროება მოსახლეობაში დღითიდღე იზრდება. მრეწველობას მომხმარებელთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად თვით ესაჭიროება საშუალებანი. ამიტომაც არის დასმული საკითხი კერძო კაპიტალის უფრო მეტად გამოყენების შესახებ, ვიდრე დღემდე იყო. თავის თავად ცხადია, რომ ამის გამო სოფლის კოოპერატივის მდგომარეობა გაუარესდება.

მთლიანად კოოპერაციის წინაშე მწვავედ სდგას საკითხი იმის შესახებ, რომ მან ანგარიში უნდა გაუწიოს მრეწველობის საფინანსო დაბრკოლებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაჰკარგავს კრედიტს იმ რაოდენობით, რომელიც საჭიროა ძირითად კოოპერატივის არსებობისათვის.

ამიტომ სოფლის კოოპერატივების ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ თავიანთ ვალდებულებათა მოხდას კრედიტის მიმცემ ორგანიზაციათა წინაშე და მაშასადამე, საქონლის გაყიდვისაგან შემოსული ფული უწინარეს ყოვლისა ვალის გასტუმრებას უნდა მოახმარონ.

მაგრამ ეს არ კმარა. ვალის დღევანდელი გადახდა კოოპერაციისათვის ამჟამად დაგვიანებულ ზომას წარმოადგენს წინანდელ რაოდენობით კრედიტის შენარჩუნების საქმეში.

ამიტომ ძირითადმა კოოპერატივებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ საკუთარ თანხების დაგროვებას საპაიო გადასახადის მიზიდვის გზით. ამ მხრით ამიერ-კავკასიის კოოპერაციამ საგრძნობლად წინ წაიწია. მაგრამ, განსაკუთრებულ პირობათა გამო, საჭიროა კვლავ ძალღონის დაჭიმვა და აქტიურ წევრთა კვლავ მიზიდვა. თუ კოოპერაციაში წევრთა ნივთიერი საშუალებანი არ იქნა მიზიდული, მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდება.

ვინაიდან ამიერ-კავკასიაში ფულის ნიშნები ცოტაა განსაკუთრებით ახლა, მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრების დროს, ამიტომ ძირითადმა კოოპერატივებმა საპაიო გადასახადი ნატურითაც უნდა მიიღონ სასოფლო მეურნეობის პროდუქტთა სახით. კოოპერატივისათვის უფრო ადვილია ამ პროდუქტთა გასაღება, ვიდრე თვით გლეხისათვის, ამიტომ საზოგადოების წევრს არ უნდა დაუშალოთ ნატურით პაის შემოტანა. ასეთი წესი ერთის მხრით გააადვილებს გლეხებს საპაიო გადასახადის შეტანას და მეორე მხრით კოოპერატივის ბრუნვას გაადიდებს.

ამასთანავე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ლაპარაკიც წარმოუდგენელია საბრუნავ საშუალებათა გადიდებაზე, თუ საქონელი ნისიად იქნება გაცემული, უფრო მეტიც: ნისიად საქონლის გაცემა საბოლოოდ დააუძლურებს კოოპერატივს და ამასთან ერთად ბოლოს მოუღებს მის კრედიტ-უნარიანობას. არც მრეწველობას და საკავშირო გაერთიანებათ უფლება არა აქვთ ვალის გადახდის ვადები გააგრძელონ იმის გამო, რომ სოფლის კოოპერატივის აპარატი მოუწესრიგებელია. ამიტომ სრულიად შეუწყნარებელ და კოოპერაციის შესაძლებლობათა საწინააღმდეგო მოვლენად ვთვლით საქონლის ნისიად გაცემას.

ამ გარემოებას ბევრი კოოპერატივი კარგათ ითვალისწინებს, მაგრამ ისინი უძლურნი არიან—წინააღუდგნენ ადმინისტრაციას, რომელიც კოოპერაციის შინაურ ცხოვრებაში ერევა და წინადადებას აძლევს—საქონელი ნისიად გასცეს,—ასეთი შემთხვევა ძალიან ბევრია. ეს აიხსნება იმით, რომ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროდან ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს თავის დროზე არ ეძლევა საშუალებანი საბჭოთა აპარატის შესანახად. ზოგჯერ 3.000 მანეთამდე ადის ადმინისტრაციის დავალიანება ისეთ კოოპერატიულ ორგანიზაციისადმი, რომლის საკუთარი თანხები ასეული მანეთებით განისაზღვრება. კოოპერაციის შინაურს საქმეში ადმინისტრაციის ასეთს ჩარევას ბოლო უნდა მოეღოს.

ასეთი დასკვნა თავისთავად გამომდინარეობს, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ჩვენს წინ მთელის თავის სიგრძე-სიგანით სდგას საკითხი იმის შესახებ, რომ კოოპერატივების აქტიურ წევრებად მიზიდულ იქნენ უპარტიო გლეხნი. არც ერთი უპარტიო გლეხი არ დათანხმდება გამგეობის წევრობაზე, თუ ის თავის საპაიო მოქმედებაში თავისუფალი არ იქნება და თუ იგი იძულებული იქნება, რომ შეასრულოს ადმინისტრაციის ყოველგვარი განკარგულება საქონლის ნისიად გაცემის სფეროში.

საჭიროა, რომ არა მარტო საბჭოთა, არამედ პარტიულ ორგანოთა მიმართაც დაცული იყოს წესი კოოპერაციის შინაურ საქმეებში არ ჩარევისა

სულ სხვა საქმეა საერთო მეთვალყურეობა იმისა, თუ რა კეთდება კოოპერატივში. პარტორგანიზაციამ, სოფლის უჯრედის სახით, რასაკვირველია, თვალყური უნდა ადევნოს კოოპერატივის გამგეობის წევრთა მოღვაწეობას, გამოსძებნოს გზები კოოპერაციის გასაჯანსაღებლად და, ბოლოს, ხელმძღვანელობა გაუწიოს კოოპერატივში მუშაობას და სხვა. მაგრამ ყველა ამას არ უნდა ჰქონდეს ხასიათი კოოპერაციის შინაურ საქმეებში პირდაპირი ჩარევის.

კოოპერაციის მუშაკთა მოღვაწეობის ხელმძღვანელობის განსახორციელებლათ, ჩვენის აზრით, საუკეთესო საშუალებაა—მოხსენებათა დრო-გამოშვებით მოსმენა, აგრეთვე საზოგადო კრებების მოწვევა.

კოოპერაციის აქტიური მუშაკი სოფლის უჯრედის წევრებს უნდა აცნობდეს მთელი მუშაობის მსვლელობას და იმ ღონისძიებებს, რომელიც მიმართულია აპარატის გასაუმჯობესებლად.

ა. ერქომაიშვილი.

ახლო ხანში მოსალოდნელია ჩვენი ცნობა ამერიკის მიერ

იუზის გადადგომა გამოიწვია მისმა შეურიგებელმა პოზიციამ საბჭოთა კავშირის მიმართ

გერმანიაში ფიქრობენ, რომ ებერტი თვით შეადგენს მთავრობას

ინგლისის მაღაროს მუშები გაფიცვით იმუქრებიან

იუზის გადადგომის შემდეგ

რატომ გადადგა იუზი

ნიუ-იორკი, 12 იანვ. გარემოება, რომელმაც გამოიწვია იუზის გადადგომა და კელლოგის დანიშვნა, ჯერ კიდევ გამოურკვეველი რჩება. პრესას არ სჯერა, რომ იუზის გადადგომის მიზეზი იყო მისი სურვილი დასვენებოდა კერძო ცხოვრებას. როგორც პრესა აღნიშნავს ეს არ ხსნის იუზის უეცრად გადადგომას, რომელიც მოხდა „თეთრი სახლის" წრეების მიერ ამას წინად გამოთქმული აზრის წინააღმდეგ.

საერთო აზრი ისეთია, რომ იუზის გადადგომის შემდეგ შესაძლებელია შეიცვალოს ამერიკის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ. მაგრამ საბჭოთა კავშირის საკითხს მაინც არ სთვლიან იუზის გადადგომის უშუალო მიზეზად.

ნიუ-იორკის გაზეთის „ჯორნალ ოფ კომმერს"-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი სწერს: „ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ცვლილებას ამერიკის პოლიტიკაში წარმოადგენს ახალი პოლიტიკის შესაძლებლობა რუსეთის საკითხში. აქ ფიქრობენ, რომ რუსეთი კვლავ გამოვა სცენაზე".

„როსტა"-ს კორესპონდენტის განკარგულებაში არ არის ისეთი ცნობები, რომლებიც მოწმობდენ იმას, რომ კულიჯს განზრახული აქვს დაუყოვნებლივ შეაცვალოს კურსი საბჭოთა კავშირისადმი. კელლოგი არ არის ცნობილი, როგორც საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრე, პირიქით, საიდუმლო თათბირებზე ის მხარს უჭერდა იუზს ბორას წინააღმდეგ. მაგრამ კელლოგი არის რესპუბლიკანური პარტიის ერთგული წევრი და ის დაემორჩილება კულიჯის ინსტრუქციებს, რომელიც თავის პოლიტიკას გაატარებს ბორას რჩევების მიხედვით.

ამერიკის ყოფილი ელჩი ლონდონში მარკეი, როგორც იტყობინებიან, უკანასკნელ დროს მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის ცნობას.

იუზმა კისერი მოიტეხა რუსეთის საკითხში

ნიუ-იორკი 12 იანვარი „იუნაიტედ პრეს"-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი იტყობინება:

„რუსეთის პრობლემა ცხადლივით უფრო მეტ როლს თამაშობდა იუზის გადადგომაში ვიდრე ეს წარმოუდგენია ფართო საზოგადოებას. უკანასკნელ დროს გავლენიან საქმიან წრეებში თანდათან უფრო მეტის სიმპატიით სარგებლობს ბორას პოზიცია საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ."

რეაქციონური რესპუბლიკანური გაზეთი „ვაშინგტონ პოსტ" პირველ გვერდზე ათავსებს წერილს, რომელშიაც აცხადებს, რომ სტატს-სეკრეტარის შეცვლა ნიშნავს იმას, რომ კულიჯმა გზა გაიკაფა საბჭოთა მთავრობის ცნობისათვის.

სრული საიდუმლოება, რომლითაც მოცულია იუზის გადადგომის მიზეზი და მოსაზრება, რომლის მიხედვით მის მოადგილედ დაინიშნა კელლოგი, საზოგადოებრივ აზრს აიძულებს სიფრთხილით მოეპყრას ყოველგვარ წინასწარმეტყველებას ამერიკის მომავალი საგარეო პოლიტიკის შესახებ. როგორც ჩანს, კულიჯს თათბირი არ ჰქონია ამის შესახებ თავის ჩვეულებრივ მრჩეველებთან.

„საბჭოთა კავშირს ჩქარა იცნობენ"

ბერლინი. 12 იანვარი. „როსტა"-ს ბერლინელ კორესპონდენტს აცნობებენ ადგილობრივ ამერიკულ წრეებში, რომ ამერიკის გავლენიანი გაზეთების წარმომადგენლებმა ბერლინში შეკითხვა მისცეს ამერიკის ელჩს ბერლინში [illegible] იუზის გადადგომის მიზეზის შესახებ, რაზედაც მიიღეს შემდეგი პასუხი: „გადადგომა ნიშნავს საბჭოთა კავშირის ცნობას ახლო მომავალში".

ამერიკის პოლიტიკა საბჭ. კავშირის მიმართ შეიცვლება

პარიზი. 12 იანვ. „ესტ ერობ"-ის ცნობებით, იუზის გადადგომა გამოწვეულია იმ უთანხმოებით, რომელიც მას ჰქონდა სენატორ ბორასთან—სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარესთან. სააგენტო ხაზს უსვამს იმას, რომ ბორა—„ერთად-ერთი ამერიკელია", რომელიც მოითხოვს საბჭოთა მთავრობის ცნობას და რომელსაც სურს ისარგებლოს საფრანგეთის დავალიანებით და გავლენა მოახდინოს მასზე განიარაღების სასარგებლოთ. ამერიკის პრესა ფიქრობს, რომ იუზის გადადგომის შემდეგ ამერიკის პოლიტიკაში მოსალოდნელია გადახრა საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოთ.

პრესა იუზის გადადგომის შესახებ

ბერლინი. 12 იანვარი. გერმანიის პრესა ხაზს უსვამს იუზის გადადგომის საერთაშორისო მნიშვნელობას. იუზის გადადგომას გაზეთები სენატორ ბორას გამარჯვებათ სთვლიან საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხში.

მთავრობის კრიზისი გერმანიაში

ლიუტერი მოლაპარაკებას აწარმოებს

ბერლინი. 12 იანვარი. ცენტრის ფრაქციამ კვირის სხდომაზე დაადგინა არ მიიღოს მონაწილეობა ლიუტერის კაბინეტში.

ვინაიდან ლიუტერი ოფიციალურად ეცისრება ახალი მთავრობის შედგენას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან უზრუნველყო თავის სასარგებლოდ უმრავლესობა რეიხსტაგში, მთავრობის კრიზისს გააჭიანურებს ცენტრის პარტიის ასეთი გადაწყვეტილება.

ლიუტერი განაგრძობს ჯერ-ჯერობათ წინასწარ მოლაპარაკებას ახალ კაბინეტის შედგენის შესახებ.

[illegible]

ბერლინი. 13 იანვ. მთავრობის შედგენის საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. მოლაპარაკება გრძელდება, მაგრამ მას არავითარი დადებითი შედეგი არ მოაქვს. ცენტრის ფრაქციამ გადაწყვიტა მონაწილეობა არ მიიღოს ლიუტერის კაბინეტში. „ფორვერტს"-ი იტყობინება აგრეთვე, რომ ცენტრმა უარყო სოციალ-დემოკრატების წინადადება ვეიმარის კოალიციაში შესვლის შესახებ. ლიუტერს განზრახვა აქვს ორშაბათს ყველა პარტიების წარმომადგენელთა თათბირზე ინფორმაციული მოხსენება გააკეთოს საიმპერიო კაბინეტის საკითხის შესახებ.

პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ პრეზიდენტი ებერტი თვითონ იკისრებს კაბინეტის შედგენას. თანახმათ კონსტიტუციის 48 მუხლისა, რომელიც უფლებას აძლევს რესპუბლიკის პრეზიდენტს ასეთ საკითხებში იმოქმედოს დამოუკიდებლათ იმ შემთხვევაში, თუ სხვა გზით კრიზისის მოგვარება შეუძლებელია.

რეიხსტაგის მორიგი სხდომა შესდგება ოთხშაბათს. საეჭვოა, რომ ამ დროისათვის შედგენილი იქნეს ახალი კაბინეტი.

მთავრობის შესაძლებელი შემადგენლობა.

ბერლინი, 13 იანვარი. გერმანიის ახალი მთავრობის შესაძლებელი შემადგენლობა ასეთია: კანცლერი—ლიუტერი, შინაგან საქმეთა მინისტრი—ვალრაფი, გარეშე საქმეთა მინისტრი—შტრეზემანი, შრომის მინისტრი—ბრაუნი, რეიხსვერის მინისტრი—ჰესლერი, იუსტიციის მინისტრი—ემმინგერი. დანარჩენი პორტფელები განაწილებული იქნება მინისტრების ამხანაგებს შორის. ასეთ კაბინეტს შეიძლება ვუწოდოთ „გაუბედავი კაბინეტი".

ჟაკ სადულის პროცესი

პარიზი. 12 იანვარი. ორლეანის სასამართლოში დაიწყო სადულის საქმის გარჩევა. მთავრობის კომისარი მოითხოვს დამატებითი გამოძიების მოხდენას.

სადული აცხადებს: მე დიდი ხანია მოველოდი იმ დროს, როცა საშუალება მომეცემოდა წარმდგარიყავი სასამართლოს წინაშე. მე ველოდი ამას ხუთი წლის განმავლობაში და ჩემი მოთმინების ფიალა აივსო, რადგან თუ მე სავსებით კომუნისტი ვარ, მე მაინც ფრანგი ვარ ბოლომდი. შემდეგ სადული მოიგონებს სასამართლოს თუ რა რიგ იტანჯებოდა უცხო მხარეში და ხაზს უსვამს, რომ მის ჩამოსვლას აბრკოლებდენ ზოგიერთი მორალური ვალდებულებანი, რომელთა შესრულება მას საპიროდ მიაჩნდა.

სადული აღნიშნავს, რომ მუდამ მომხრე იყო საფრანგეთ-რუსეთის დაახლოების.

ის მხარს უჭერს მთავრობის კომისარის მოთხოვნას, რომ მოახდინონ დამატებითი გამოძიება და იმედს გამოსთქვამს, რომ მის მოწმეებსაც მოუსმენენ.

შემდეგ სადული მოუთხრობს სასამართლოს თუ როგორი იყო ის არჩეული შუამავლათ საფრანგეთისა და საბჭოთა მთავრობის შორის.

სადული აცხადებს, რომ მას არაერთხელ განუცხადებია პოლკოვნიკ ლაპერნისათვის, რომ სურს სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ მას არ აძლევდენ ამის საშუალებას. მას არასოდეს არ მიუღია ბრძანება საფრანგეთში დაბრუნების შესახებ.

„დადგა დრო,—აცხადებს სადული,—როცა ევროპის წინაშე დგას არჩევანი: რევოლუცია ან სიკვდილი".

მთავრობის კომისარი პროტესტს აცხადებს დამცველთა შუამდგომლობის წინააღმდეგ, რომ სადული დროებით გაანთავისუფლონ.

სამხედრო სასამართლომ ერთხმად დაადგინა მოახდინოს უფრო ფართე გამოძიება.

სადული დროებით გაანთავისუფლეს და ის უკვე ჩავიდა პარიზში.

რევოლუციონური გზით

ლონდონი. 13 იანვ. ბრიტანეთის კომპარტიის ცეკას სესიამ, რომელიც ბირმინგამში შესდგა, მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც კიცხავს მუშათა პარტიის პარლამენტარულ ოპოზიციას და მხარს უჭერს კომუნისტური დეპუტატის საკლატვალას ბრძოლას თემთა პალატაში, სთვლის რა მას მუშების ერთად-ერთ წარმომადგენლათ პარლამენტში. მიღებულია აგრეთვე რეზოლუცია მიმდინარე პოლიტიკური საკითხების შესახებ. დაბოლოს მიღებული იქნა რეზოლუცია, რომელშიაც სესია სოლიდარობის გრძნობას უცხადებს ინდოეთის და ეგვიპტის ხალხს და კიცხავს მუშათა პარტიის ხაზს.

უკანასკნელი ცნობები

ამერიკის საქმიანი წრეები და საბჭოთა კავშირის ცნობა.

ნიუ-იორკი, 12 იანვარი. კულიჯთან ახლომდგომ წრეების აზრით, იუზის გადადგომა მოწმობს, რომ კულიჯს განზრახვა აქვს თვითონ იკისროს საგარეო პოლიტიკის კონტროლი და გაატაროს ზოგიერთი ცვლილებები, რომელთა წინააღმდეგ ილაშქრებდა იუზი, მათ შორის გადადგას ნაბიჯები საბჭოთა კავშირთან თანდათანი დაახლოვებისა და მოლაპარაკებისათვის.

გავრცელებული ხმების მიხედვით, ნიუ-იორკის უფრო გავლენიანი ფინანსიური წრეები მომხრენი არიან საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების დაწყებისა. ბამბის მრეწველობის წარმომადგენლები მოითხოვენ საბჭოთა კავშირის საჩქაროდ ცნობას.

დიპლომატიურ წრეებში ფიქრობენ, რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის საკითხი უახლოეს მომავალში დადგება დღის წესრიგში.

ხორვატიის ხელისუფლება და რადიჩის პარტია

ვენა. 12 იანვარი. აგრამის სასამართლომ დაადგინა ციხიდან გაანთავისუფლოს ხორვატიის გლეხთა პარტიის ყველა დაპატიმრებული წევრები, გარდა რადიჩისა, რადგან არ მოიპოვება არავითარი საფუძველი მათი შემდგომი დაკავებისათვის. სამოსამართლო დევნა ამ პირთა წინააღმდეგ მაინც გაგრძელდება.

აგრამის სასამართლოს გადაწყვეტილება მოწმობს, რომ ხორვატიის ხელისუფალნი თანაუგრძნობენ რადიჩის პარტიას—ბელგრადის მთავრობის წინააღმდეგ.

პოლიტიკურ პატიმართა პროტესტი რუმინიაში

ვენა. 12 იანვარი. შილავას ციხეში დამწყვდეულ 250 რუმინელმა კომუნისტმა გამოაცხადეს შიმშილობა პროტესტის ნიშნად უხეში მოპყრობის წინააღმდეგ, აგრეთვე კვლევა-ძიების დაჩქარების მიზნით.

რუმინიის „ოხრანკის" მუშაობა

ვენა. 12 იანვარი. რუმინიის „დამცველი განყოფილება" იტყობინება სამხრეთ ბესარაბიაში ახალი კომუნისტ ორგანიზაციის აღმოჩენის შესახებ. ბანოვკის, ჩიმშის და ვაისალის რაიონებში დაპატიმრებულია 18 კომუნისტი.

აგრეთვე იტყობინებიან მთელ რიგ პირების ახალ დაპატიმრებაზე ნეშიდრადში (?) და ახადსკის (?) ოლქში—კომუნისტური ლიტერატურის გავრცელებისათვის გლეხობის შორის. ძველი რუმინიის სხვადასხვა ადგილას დაპატიმრებულია 20 კაცი.

დაპატიმრებულ კომუნისტ კატცის გამოშვება

ვენა. 12 იანვარი. გერმანიის რეიხსტაგის დეპუტატი, კომუნისტი კატცი, რომელიც დაპატიმრებულ იქნა ვენაში ჩეხო-სლოვაკიის საკონსულოს მოთხოვნით, ვითომდა ყალბი პასპორტის ხმარებისათვის,—გამოშვებულ იქნა 50.000.000 ავსტრიულ კრონის საწინდრის ქვეშ.

გერმანიის ახალი კრეისერი.

ბერლინი, 12 იანვარი. ვილჰელმსჰაფენში ჩაუშვეს წყალში გერმანიის ახალი კრეისერი „ემდენი", რომელიც აშენებულია ვერსალის ხელშეკრულების პირობებთან შეფარდებით. კრეისერს აქვს 6.000 ტონა წყალწყვა, ის შეიარაღებულია 15 სანტიმეტრიანი ზარბაზნებით. მისი სიჩქარე უდრის 29 საზღვაო მილს.

საზ. „მატყლის" ამიერ-კავკასიის კანტორის საქმე

მოსკოვი. 13 იანვარი. საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ მოისმინა მოხსენება საზოგადოება „მატყლის" ამიერ-კავკასიის კანტორის მოქმედების შესახებ. საკითხი აღძრა ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ, რომელმაც აღმოაჩინა ამ კანტორის მოქმედებაში მთელი რიგი ბოროტმოქმედებანი 1923—1924 წლების განმავლობაში. საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაამტკიცა ამიერ-კავკასიის ინსპექციის გადაწყვეტილება დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის და კანტორის კონტრაგენტებისაგან დავალიანების გადახდევინების შესახებ.

სიმინდის დამზადება აჭარისტანში

ბათუმი. 13 იანვარი. აჭარისტანის ცენტრალური გლეხკომი შეუდგა სიმინდის დამზადებას. სიმინდს იძენს გლეხებისაგან ნაღდ ფულად. სიმინდის დასამზადებლად მიღებულია პურის საექსპორტო საზოგადოებიდან სესხი 20.000 მანეთის რაოდენობით.

გერმანიის კომპარტიაში

ბერლინი. 13 იანვ. ბერლინში შესდგა გერმანიის კომპარტიის ცეკას გაფართოვებული პლენუმი. პლენუმის სხდომაზე დაესწრნენ საფრანგეთის, ანგლიის, ჩეხო-სლოვაკიის და ავსტრალიის კომპარტიების წარმომადგენლები. მოსმენილი იქნა ფიშერის ვრცელი მოხსენება პოლიტიკური მდგომარეობისა და პარტიის ამოცანების შესახებ. შეეხო რა პარტიის ამოცანებს, მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭიროა მუშების ჩაბმა ბრძოლაში; მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ეს ბრძოლა მჭიდროდ დაკავშირებულია შეუწყვეტელ ბრძოლასთან მენშევიზმის წინააღმდეგ.

პოლიტიკური თეზისები მიღებული იქნა ერთხმათ. დამსწრეები ერთხმათ შეუერთდენ აგრეთვე შოლერის მოხსენებას საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების არჩევნების შესახებ. შოლერის თეზისები მიღებული იქნა უმნიშვნელო შესწორებებით. პლენუმმა დაადგინა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს რუსეთის კომპარტიას ლენინის გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო; პლენუმმა სოლიდარობის გრძნობა გამოუცხადა ესტონეთის პროლეტარიატს და რეზოლუცია გამოიტანა ტროცკიზმის წინააღმდეგ.

მაღაროს მუშები გაფიცვით იმუქრებიან

ლონდონი. 12 იანვ. ინგლისის სამთომადნო მუშების პროფკავშირის სააღმასრულებო საბჭომ დერბიშირში დაადგინა გამოაცხადოს 27 იანვარს ოლქის სამთომადნო მრეწველობის მუშების გაფიცვა. გაფიცვაში მონაწილეობას მიიღებს დაახლოვებით 20,000 მუშა. გაფიცვის მიზეზია ის, რომ მწარმოებლებმა ზოგიერთი კატეგორიის მემაღაროებს შეუმცირეს ხელფასი 7,5 პროცენტით.

თვით მუშებმა გადაწყვიტონ.

ლონდონი. 12 იანვარი. სამთო-მადნო მუშების სრულიად ინგლისის ფედერაციის მდივანმა კუკმა სიტყვა წარმოსთქვა მიტინგზე სამთო-მადნო მრეწველობის მდგომარეობის შესახებ. მან განაცხადა, რომ აუცილებელია დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნეს სამთო-მადნო მუშების კონფერენცია, რათა მუშების წინაშე გარკვეულ იქნეს საქმის მდგომარეობა და მათ საშუალება მიეცეთ თვითვე გადასჭრან საკითხი იმ მოთხოვნილებების შესახებ, რომლებიც უნდა წარუდგინონ მწარმოებლებს.

შემდეგ კუკმა განაცხადა, რომ სამთო-მადნო მუშების ფედერაციამ უნდა წარუდგინოს თავისი პროგრამა პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს, რათა „მთელს პროფესიონალურ მოძრაობას საშუალება მივცეთ გაიგონ ჩვენი მოთხოვნილებები, გაეცნონ ჩვენს მდგომარეობას და გადაწყვიტონ, დაგვიჭერენ თუ არა ისინი მხარს ჩვენს ბრძოლაში".

პოლონურ ბანდების თავდასხმა საბჭოთა საზღვარზე

ხარკოვი. 13 იანვ. 5 იანვარს ღამით დაბა იამპოლს რაიონში ჩვენმა სანაპირო გუშაგებმა შეამჩნიეს პოლონეთის მხარეზე სამხედრო ნაწილის მოძრაობა. რაზმი შესდგებოდა 40 ქვეითა ჯარისკაცებისაგან, რომელთაც წინ მოუძღოდა 3 ცხენოსანი. ნაწილი გადმოვიდა საზღვარზე და სროლა აუტეხა გუშაგებს. საბჭოთა ტერიტორიაზე თავდამსხმელები მიუახლოვდენ კომენდატურის სამმართველოს, დაუშინეს ყუმბარები და აუტეხეს სროლა. ჩვენმა სანაპირო რაზმმა დაუშინა თავდამსხმელებს და განდევნა საზღვარს იქით. საკავშირო მთავრობამ დაუყოვნებლივ გაგზავნა ადგილობრივ სპეციალური კომისია იმ არაჩვეულებრივ თავდასხმის გარემოებათა გამოსარკვევად.

დიდი ნისლი ევროპაში

ლონდონი, 13 იანვარი. ლონდონში არაჩვეულებრივი ნისლია. ქუჩებზე შეწყვეტილია ყოველგვარი მოძრაობა. ადგილი ჰქონდა მთელ რიგ ინციდენტებს.

პარიზი. 13 იანვარი. ორშაბათიდან პარიზი არაჩვეულებრივ ნისლშია გახვეული. ქუჩებს ანათებენ ჩირაღდნებით.

ლონდონი, 13 იანვარი. ინგლისის გარდა, ნისლში გახვეულია გერმანიის, ჰოლანდიის და ბელგიის ის ადგილები, რომლებიც ზღვის პირას მდებარეობენ.

შტრეიკბრეხერთა არმია

ლონდონ. 11 იანვ. რკინისგზელების ნაციონალური კავშირის მდივანმა—კრომმა კავშირის ყველა განყოფილებებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომელიც აცნობებს კავშირის წევრებს, რომ, თანახმათ ალმასკომის ინსტრუქციისა, რკინისგზელები არ უნდა შევიდენ მოხალისეებათ არმიის სათადარიგო რკინისგზის განყოფილებაში, რომლის მოწყობაც განზრახულია ახლო მომავალში, „სანამ დამაკმაყოფილებელ იპასუხს არ მიიღებენ სამხედრო სამინისტროდან“.

საჭიროა განვმარტოთ, რომ რკინისგზელი, რომელიც შედის არმიის ამ სათადარიგო განყოფილებაში, ხდება ჯარისკაცათ და ის უნდა დაემორჩილოს სამხედრო კანონებს. ალმასკომი ფიქრობს, რომ არმიის სათადარიგო რკინისგზის განყოფილება, რომელსაც მართვა-გამგეობას არაპირდაპირ მწარმოებლები გაუწევენ, სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს რკინისგზელებისათვის იმ შემთხვევაში, თუ დაიწყო სამრეწველო კონფლიქტები.

რკინისგზელების კავშირის ყველა წევრები მეტათ აღშფოთებული არიან რკინისგზის კომპანიის მოქმედებით. რკინისგზის კომპანიის წარმომადგენლები შეეცადენ ლონდონის რკინისგზის საქონლის დეპოში—„ბიშოპოგეტ“-ში მოეწყოთ მიტინგი, სადაც უნდა მომხდარიყო რკინისგზელების ჯარისკაცებათ ჩაწერა, მაგრამ რკინისგზელებმა ჩაშალეს ეს მიტინგი, რკინისგზის კომპანიის წარმომადგენლები კი გაისტუმრეს შემდეგი ძახილით: „ჩვენ ვიცით, რა გსურთ თქვენ ჩვენ არ გვინდა რაიმე საერთო გვქონდეს სამხედრო შტრეიკბრეხერებთან“.

გაზეთი „მორნინგ პოსტ“-ი აღნიშნავს, რომ სამხედრო სარდლობის განკარგულება, რომელიც საფუძვლათ დაედო რკინისგზის კომპანიების მოქმედებას, მოწონებული იყო მაკდონალდის მუშ.-თა მთავრობის მიერ და მას ხელს აწერდა ყოფილი სამხედრო მინისტრი უოლშმი.

მდგომარეობა პოლონეთში

პოლონეთის მუშები მოითხოვენ ლანცუცკის განთავისუფლებას

ვარშავა. 12 იანვარი. მუშები ფაბრიკებში ღებულობენ რეზოლიუციებს, რომლებშიაც მოითხოვენ ლანცუცკის განთავისუფლებას.

მიტინგის ჩაშლა

ვარშავა. 12 იანვარი. ვარშავში კვირას არ შესდგა მიტინგი, რომელზედაც სიტყვით უნდა გამოსულიყო კომუნისტი დეპუტატი კრულიკოვსკი, ვინაიდან მიტინგზე მოსული ხალხი გარეკა პოლიციამ და წინასწარ დაიკავა მოედანი, რომელზედაც უნდა შემდგარიყო მიტინგი. დაპატიმრებულია 50 კაცი.

პოლონეთ-დანციგის კონფლიქტი დამთავრდა

ვარშავა. 12 იანვარი. პოლონეთ-დანციგის კონფლიქტი შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს. პოლონეთის მთავრობამ გადასწყვიტა დაკმაყოფილებულიყო დანციგის სენატის მიერ ბოდიშის მოხდით. მთავრობის წარმომადგენელმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მწვავე მომენტი უკვე განვლილია.

შერერის დაპატიმრება

ვარშავა. 12 იანვარი. ლვოვში დააპატიმრეს მუშათა მოძრაობის მოღვაწე შერერი. შერერს დაპატიმრების დროს ბრალდებათ წარუდგინეს ის, რომ ის ირიცხება პოლიტიკურ პატიმართა დამხმარე კომიტეტის წევრად.

ფ. ადლერმა „შეიწყნარა“ თხოვნა

ლონდონი, 13 იანვარი. ფრიდრიხ ადლერი, რომელმაც ამ დღეებში უარი განაცხადა მეორე ინტერნაციონალის მდივნის თანამდებობაზე, ინტერნაციონალის ალმასკომის წევრების დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ დათანხმდა დროებით დარჩეს თავის თანამდებობაზე.

ფაშისტური ტერორი იტალიაში

რომი, 12 იანვარი. მილანის პრეფექტმა გაზეთ „უნიტა“-ს რედაქტორს წაართვა პასუხისმგებელ რედაქტორად ყოფნის უფლება. გაზეთის გამოცემა შეწყდა.

მთავრობამ პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი იტალიაში საიდუმლო საზოგადოებების მოწყობის აკრძალვის შესახებ. პარლამენტში შეტანილ იქნება წინადადება, რომლის მიხედვით მინისტრთა საბჭოს უნდა მიეცეს უფლება შესცვალოს საზოგადოებრივი მშვიდობიანობის კანონები, სისხლის სამართლის კოდექსი და სხვა სასამართლო დადგენილებები.

„უდიდებულესობის“ შეურაცხყოფისათვის

პარიზი. 11 იან. ესპანეთის ელჩმა პარიზში აღძრა საჩივარი ესპანელ მწერალ ბლასკო იბანიესის წინააღმდეგ იმ წიგნის გამო, რომელსაც სათაურად ეწოდება: „ნილაბ-ახდილი ალფონს მე-13“. საჩივარია აღძრული აგრეთვე ამ წიგნის გამომცემელ—ფლამარიონისა და მის მთარგმნელ—ლუვრას წინააღმდეგ, რომელთაც ბრალი ედებათ უცხოელ მონარქის შეურაცხყოფაში.

მასწავლებელთა საკავშირო ყრილობა

მასწავლებლობა საბჭოთა მთავრობასთან და კომპარტიასთან ერთად იმუშავებს

ყრილობას მიესალმენ, ამხ. კალინინი, კამენევი, მარტი. ფრუნზე და სხვები

„მასწავლებლობა შეასრულებს თავის ამოცანას: ხელს შეუწყობს ახალი სახელმწიფოს აშენებას“

კულტურულ რევოლიუციის დასაწყისი

მოსკოვი. 13 იანვარი. გუშინ დიდ თეატრში გაიხსნა მასწავლებელთა საკავშირო პირველი ყრილობა.

ყრილობა გახსნა განათლების მუშაკთა კავშირის ცეკას თავმჯდომარემ—კოროსტილიოვმა რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირს ლენინის გარდაცვალების შემდეგ არა თუ არ დაუკარგავს თავისი სიმტკიცე, არამედ იგი კიდევ უფრო შეკავშირდა მსოფლიოს რევოლიუციის ბელადის მიერ დაარსებულ კომპარტიის ირგვლივ. **ჩვენ ვდგევართ კულტურულ რევოლიუციის წინაშე.** ლენინმა სთქვა, რომ საჭიროა ამ კულტურულ რევოლიუციის მოხდენა. უდიდესი მოძრაობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მასწავლებელთა წრეში,—მასწავლებელთა მრავალი ასეული კონფერენციები მთელ საბჭოთა კავშირში ამტკიცებს, **რომ მასწავლებლობა ამჟამად საკუთარი ნებით ებმება კულტურულ მუშაობაში, განსაკუთრებით სოფლად.**

მასწავლებლობის ისტორიული ამოცანები

ამხ. კალინინი. ესალმება ყრილობას საბჭოთა კავშირის ცაკის და სახ. კომისართა საბჭოს სახელით და ამბობს: „ისტორიას სურს, რათა მასწავლებლობამ შეასრულოს შემდეგი ამოცანები: **ახალი ადამიანის შექმნა ხალხთა ძმობისა და კომუნიზმისათვის საბრძოლველად.** მე ეჭვი არ მეპარება, რომ მასწავლებლობა, თუ მზად არ არის ამისათვის ყოველ შემთხვევაში ემზადება და ამ ამოცანას შეასრულებს. დეე, ყრილობის მუშაობამ საძირკველი ჩაუყაროს ამ ბრძოლას მთელი კაცობრიობის უკეთესი მომავლის თვის“.

საჭიროა მასწავლებლების კავშირი საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომპარტიასთან

ამხ. კამენევი ესალმება რა ყრილობას რუსეთის კომპარტიის ცეკას სახელით, ამბობს, რომ ეს პირველადაა, როდესაც სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება მუშათა კლასის ხელში ხდება თვით ამ მასების მატერიალურ და კულტურულ კეთილდღეობისათვის შეგნებულ და გეგმაშეწონილ ბრძოლის იარაღათ. ჩვენ ვიცით, რომ კომუნიზმის და სოციალიზმის მშენებლობის საქმე—ძნელი საქმეა არ შეიძლება სოციალიზმის აშენება, თუ ჩვენ სისტემატიურად, დაუღალავად, ყოველგვარ მსხვერპლის დაურიდებლათ, ჩქარი ნაბიჯით არ წავიყვანთ ათეულ და ასეულ მილიონიან ხალხთა განათლების და კულტურის საქმეს, იმ ხალხთა, რომელიც თვითმპყრობელობა და კაპიტალიზმი ამყოფებდა სიბნელეში, მონობაში და ჩაგვრაში.

ჩვენ ვისახავთ ამოცანათ, რათა მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი, რომელიც პროლეტარიატის და გლეხობის მოწინავე ელემენტების ხელში იმყოფება, გახდეს მუდმივ და სისტემატიურ აღმზრდელათ და განმანათლებელათ ჩამორჩენილ გლეხთა მასებისათვის. მხოლოდ ამ გზით შევსძლებთ ჩვენ დავამყაროთ მუშათა და გლეხთა კავშირი, რომელიც გვიანდერძა უდიდესმა მებრძოლმა, მუშათა და გლეხთა საქმის გამარჯვების წინასწარმეტყველმა—ლენინმა.

და ამ საქმეში—სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის გლეხთა ფართო მასების განათლების იარაღათ გადაქცევის საქმეში, პარტიის აზრი მიქცეულია სახალხო მასწავლებელთა მრავალრიცხოვან არმიისაკენ. რათა ეს ამოცანა იქნას შესრულებული, საჭიროა მეორე კავშირი—სახალხო მასწავლებელთა კავშირი საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომპარტიასთან. ჩვენ გვწამს, რომ ნამდვილ სახალხო მასწავლებლებს არა აქვთ სხვა მიზნები გარდა მშრომელთა მასების კეთილდღეობისა და თუ ჩვენი მიზნები საერთოა, **ჩვენ ადვილათ გავიგებთ ერთმანეთს და დავამყარებთ კავშირს მასწავლებლის, მუშის და გლეხის შორის და ამ კავშირით განვახორციელებთ ყველა მშრომელთა და გაყვლეფილთა კავშირს იმ ბრძოლის დასამთავრებლათ, რომელიც მიმართულია ძველი წყობილების ნაშთების წინააღმდეგ,** რომელი ნაშთებიც ჯერ კიდევ ცოცხალია კაპიტალისტურ პირობებში აღზრდილ ხალხის გულში და მონურ ფსიქიკაში. ამ კავშირით ჩვენ გავიმარჯვებთ“.

ამხ. მარტის მისალმება

ამხ. მარტი, რომელიც ესალმება ყრილობას კომინტერნის სახელით, გაჰყავს პარალელი კაპიტალისტურ და ახალ სოციალისტურ სკოლის შორის.

ეხება რა პროფესიონალურ მოძრაობის მთლიანობის პრობლემას, ის აღნიშნავს გლეხობის როლს მებრძოლ პროლეტარიატის, ერთიანი ფრონტის დამყარების საქმეში. „მე დარწმუნებული ვარო, ამბობს მარტი, „რომ მასწავლებლობა შეასრულებს ყველა ქვეყნების რევოლიუციონურ პროლეტარიატის მიერ დასმულ ამოცანებს“.

მასწავლებლობის როლი ქვეყნის თავდაცვის საქმეში

ამხ. ფრუნზე, ესალმება რა ყრილობას წითელი არმიის სახელით, ამბობს, რომ მასწავლებლობამ უარი უნდა სთქვას იმ აზრზე, თითქოს ქვეყნის თავდაცვის საქმის შესრულება შეუძლია მხოლოდ წითელ არმიას. მასწავლებლობის როლი ქვეყნის თავდაცვის საქმეში დიდია, შეგნებულ წითელ-არმიელის გარეშე შეუძლებელია გამარჯვება.

ბოლოს ფრუნზე გამოსთქვამს იმედს, რომ მომავალი ისტორიკოსები აღნიშნავენ მასწავლებლების უდიდეს როლს მუშურ-გლეხურ წითელარმიის განათლების და შეგნების განმტკიცების საქმეში.

შემდეგ ყრილობას მიესალმენ სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს სახელით—დოგადოვი, საკავშირო სახალხო განათლების კომისარიატების სახელით—პოკროვსკი, ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ცეკას სახელით—ჩაპლინი, ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციის სახელით—კლარა ცეტკინი, მეცნიერების მუშაკთა და რუსეთის სამეცნიერო აკადემიის სახელით—ოლდენბურგი.

ყრილობის პასუხი

მისალმებების საპასუხოთ სიტყვა წარმოსთქვა მოსკოვის გუბერნიის მასწავლებელმა ქალმა ავტონეევამ. რომელმაც შესძახა სიხარულისაგან აღელვებული ხმით: **„გაიგონე, შენ, ლურჯ-ხალათა მომავლის მჭედელო მუშავ! შენ—გლეხო, შენ—წითელ-არმიელო! ყველა თქვენ და თქვენს ბავშვებს მოვეხმარეთ—ჩვენს ძალებს, ჩვენს ცოდნას, მთელ ჩვენს სიცოცხლეს! გაიგონე შენც პარტიავ! და შენც მიძინებულო ბელადო—ილიჩ! რევოლიუციის ქარცეცხლში მოიწიფდა ჩვენი შეგნება. გზა მიეცით პარტიაში მასწავლებლებს—რევოლიუციონური ენერგიით აღსავსეს“.**

საპასუხო სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე მასწავლებლებმა ვასილიევმა, ლუნკავიჩმა და ბაბაევმა.

ყრილობის მნიშვნელობა

„იზვესტია“-ს წერილი

მოსკოვი. 13 იანვ. „იზვესტია“-ში მოთავსებულია ამხ. ლუნაჩარსკის წერილი. ამ წერილში ის, სხვათა შორის, სწერს:

„მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობას დიდი სიმპტომატიური მნიშვნელობა აქვს და ის უდიდეს როლს ითამაშებს მომავალში.

ყრილობა აღნიშნავს იმას, რაც უკვე წარსულს ჩაბარდა და ყველასათვის დასანახავ გახდის სოფლის ინტელიგენციის ძირითადი ნაწილის—მასწავლებლობის ღრმა, გულწრფელ და ენტუზიაზმით აღსავსე მზადყოფნას მთელი თავისი ძალღონე მოახმაროს ახალი აღმშენებლობის საქმეს.

არა მარტო ჩვენ, არა მარტო ჩვენი მეგობრები, არამედ ჩვენი მტრებიც გრძნობენ იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის სოფლის კულტურულ აღორძინებას და სოფლის მასებში კომუნისტური კულტურის შეტანას. ამ ამოცანის სიმწვავეს ჩვენ ყოველთვის ვგრძნობდით და ის არაერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით ვლადიმერ ილიჩს; მაგრამ უკანასკნელ დროის განმავლობაში, განსაკუთრებით საბჭოების მე-13 ყრილობის შემდეგ, ის ჩვენს წინაშე წამოიჭრა როგორც მორიგი, როგორც სასწრაფო ამოცანა. რასაკვირველია, პარტიის ამ მუშაობის საწარმოებლად აქვს თავისი აპარატი, თავისი ქვედა საფეხურის უჯრედები. რასაკვირველია, ჩვენ თანდათანობით ვადიდებთ პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაკების რიცხვს სოფლათ. მაგრამ თავიდან ბოლომდი სწორათ რჩება ვლადიმერ ილიჩის ლოზუნგი: „პარტიამ უნდა დაიპყროს სამას ათასზე მეტი მასწავლებელი—მან სწორეთ ისინი უნდა გახადოს ნამდვილ მასიურ აპარატათ, რომელიც კომუნისტური გავლენის გამტარებელი იქნება სოფლათ“.

ვლადიმერ ილიჩი სავსებით მართალი აღმოჩნდა. ჩვენ ეხლა უფრო მწვავეთ ვგრძნობთ იმას, რომ ჩვენთვის საჭიროა მასწავლებლის დახმარება; ჩვენ ნათლათ ვხედავთ, რომ მას ასეთი დახმარების გაწევა შეუძლია და სურს კიდეც.

ყრილობას უდიდესი სიმპტომატიური მნიშვნელობა აქვს, ის ამავე დროს ძლიერ იმპულს იძლევა შემდეგი პროგრესისათვის, პარტიის და მასწავლებლობის შემდეგი შეერთებული განვითარებისათვის, საბჭოთა ხელისუფლების და განათლების იმ ქვეითა ჯარის შეერთებული განვითარებისათვის, რომელიც მის მთავარ ძალას შეადგენს.

ყრილობას შეუძლია მხოლოდ შეიმუშაოს ზოგიერთი გზები ამ მიმართულებით. ჩვენ კიდევ დიდი მუშაობა მოგველის იმისათვის, რომ სწორი ხელმძღვანელობა გაუწიოთ მასწავლებლობას მის პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, რომ მასწავლებლობის მუშაობა დავუკავშიროთ პარტიის და კომკავშირის უჯრედებს, რომ სწორათ გავანაწილოთ ეს მუშაობა, რომ ყოველგვარი—კულტურული, მორალური და მატერიალური დახმარება აღმოუჩინოთ იმ უდიდესი მნიშვნელობის ძალას, რომელსაც ეხლა საბოლოოთ და ორგანიზაციულათ იძენს რევოლიუცია განათლების ასეულ ათას სასოფლო მუშაკების სახით“.

პროვოკატორ ოკლადსკის პროცესი

ოკლადსკის ბიოგრაფია

მოსკოვი, 11 იანვარი. დაიწყო პროვოკატორ ოკლადსკის პროცესი. აღნიშნული ოკლადსკი 7 წლის განმავლობაში (1873—1880 წ.წ.) მუშაობდა „ნაროდოვოლცების“ ორგანიზაციაში და იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა ტერორისტულ შეთქმულებაში, სხვათაშორის ჟელიაბოვთან ერთად ალექსანდრე 2-რე თავდასხმაში 1879 წელს, როდესაც განზრახული იყო მეფის მატარებლის დამსხვრევა ყირიმიდან პეტერბურგში მგზავრობის დროს.

1880 წელს ოკლადსკის პეტერბურგის სამხედრო-საოლქო სასამართლომ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, რომელიც ჩქარა იქნა შეცვლილი უვადო კატორღით. რამდენიმე წლის შემდეგ ოკლადსკი დაადგა გამცემლობის გზას და საიდუმლო პოლიციის [illegible] წლის განმავლობაში და იღებდა პოლიციი[illegible] 1917 წლამდე.

ოკლადსკის მსხვერპლთა რიცხვი დიდია; მხოლოდ „ნაროდოვოლცების“ ორგანიზაციის წევრთა რიცხვი, რომელიც ოკლადსკიმ გასცა უდრიდა 60 კაცს, აქედან ბევრი იქნა სიკვდილით დასჯილი.

უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეობს სოლცი. სახელმწიფო ბრალმდებლად—კრილენკო, საზოგადოებრივ ბრალმდებლად—ფელიქს კონი, იცავენ ოკლადსკის დამცველთა კოლეგიიდან დანიშნული ვექილები ოცეპი და ჩლენოვი.

პირველი სხდომა

სასამართლოს სხდომა გაიხსნა, საღამოს 7 საათზე.

ბრალდებული — ღრმა—მოხუცია სრულიად გაჭაღარავებული, მაგრამ სრულიადაც არაა დაძაბუნებული, ის დამშვიდებით ათვალიერებს დარბაზს. როდესაც მას ეკითხებიან შთამომავლობაზე ბრალდებული უპასუხებს: „მუშა, გლეხთა წრიდან“, შემდეგ ქვეყნდება საბრალმდებლო აქტი. ოკლადსკის ხელშია აქტის ასლი. ის გულდასმით ადევნებს თვალყურს ყოველ ფრაზას.

მღელვარებას იწვევს დარბაზში ის ადგილი, სადაც აღწერილია ჟელიაბოვის და ოკლადსკის მზადება მეფის მატარებლის ასაფეთქებლად ხიდის ქვეშ ალექსანდროვსკის მახლობლად. ოკლადსკისაც ემჩნევა აქ მღელვარება. ის თავდახრილი უსმენს და თვალებიდან ცრემლები გადმოდის.

შეკითხვაზე სთვლის თუ არა ის თავს დამნაშავეთ ოკლადსკი უპასუხებს. „დიახ, მე დამნაშავეთ ვსთვლი ჩემს თავს, მაგრამ საბრალმდებლო დასკვნის ფარგლებში, არამედ ნაწილობრივად. მე დამნაშავე ვარ იმაში, რომ გავეცი ორი კონსპირატიული ბინა. მე უჩვენე ადგილი, სადაც ჟელიაბოვთან ერთად ვამზადებდი მეფის მატარებლის აფეთქებას. 3—4 თვის განმავლობაში მე ვმსახურობდი ჟანდარმერიის სამმართველოში, მაგრამ ჩემი სამსახური და ყოველგვარი კავშირი მთავრობასთან შესწყდა 1890 წელს. აი ყველაფერი, რაც მე შემიძლია განვაცხადო“.

11 იანვრის სხდომა

მოსკოვი, 12 იანვარი, კვირას 11 იანვარის სხდომაზე გრძელდება ბრალდებულ ოკლადსკის დაკითხვა. ირკვევა, რომ ოკლადსკის ბევრათ უფრო ადრე დაუწყვია თავისი მოღალატური მუშაობა ვიდრე თვითონ აღიარებს. ზოგიერთი თვალსაჩინო გამსყიდველობითი აქტი ოკლადსკის უნდა ისევ რევოლიუციონერობათ მიეთვალოს. მაგალითად: 1876 წელს მას გაუცია საიდუმლო ბინა და თვითონ კი ჟანდარმების დახმარებით გაპარულა. შემდეგ იმავე ჟანდარმების დახმარებით წასულა კიევში. იქაც გაუცია საიდუმლო ბინა და მასთან ერთად დაუჭერიათ ფოკსი და კრასოვსკი. ამათგან პირველი სიკვდილით დასაჯეს და მეორეს კი 20 წლის კატორღა მიუსაჯეს.

შემდეგ იხილავენ მეფის მოკვლის განზრახვას 1879 წელში. „ნაროდოვოლეცს“ იაკიმოვს თავის ხელით გაუმზადებია ასაფეთქებელი ყუმბარა მაგრამ, როცა მეფის მატარებელს გაუვლია, ეს ყუმბარა არ აფეთქებულა. მეორე დღეს რომ ამოუღიათ უნახავთ ერთი მავთული გადაჭრილი ეჭვი იბადება, რომ ეს ჩაიდინა ვერაგობით ოკლადსკიმ, რომელიც პრაქტიკულ მონაწილეობას იღებდა ამ მკვლელობის სამზადისში.

შემდეგ იხილავენ „თექვსმეტთა პროცესის“ საქმეს 1880 წელს. განმარტებას იძლევა ექსპერტი შჩეგოლევი: ამ საქმეში ისტორიულად დამნაშავე ყოფილა გოლდენბერგი რომელმაც დიდი როლი ითამაშა „ნაროდნაია ვოლიასი“ და „ზემლია ი ვოლიას“ ლიკვიდაციის საქმეში. მაგრამ გოლდენბერგის გამცემლობა ატარებდა უფრო თეორეტიულ ხასიათს, იმ დროს როდესაც ოკლადსკი გარკვევით ადებდა თითს ყველას და დაუზოგავად ასვამდა ბეჭედს თავის მსხვერპლებს. ექსპერტის აზრით თავის დანაშაულისთვის ოკლადსკის არავითარი შესამსუბუქებელი ფაქტი არ მოეპოვება თავის წარსულში.

12 იანვრის სხდომა

12 იანვრის სხდომაზე კრილენკო და კონი ექსპერტ შჩეგოლევისა და იაკიმოვის დახმარებით ამტკიცებენ რომ ოკლადსკის არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ჟელიაბოვ და ხალტურინთან ერთად მეფის მოკვლის განზრახვაში, რის გამოც მიახდინეს აფეთქება გოროხოვის ხიდთან.

შემდეგ ბრალდებული უამბობს თავის შეპყრობას „თექვსმეტთა“ საქმის შესახებ. ამ საქმეში ოკლადსკის ბევრ ადგილას ერევა თავისი ჩვენება.

ექსპერტებისა და მოწმეების ჩვენებით მტკიცდება, რომ ოკლადსკის მიერ აღწერილი ამბები, თითქოს მას პეტროპავლოვის ციხეში ყოფნისას გაყინულ წყალში აბანავებდნენ, რომ გამოტეხილიყო—სულ ერთიან გამოგონილია.

შემდეგ თვით ოკლადსკი აღიარებს, რომ ჟანდარმების კარნახით იგი კაკუნით ელაპარაკებოდა სხვადასხვა პოლიტიკურ პატიმრებს და შემდეგ კიდეც გადავიდოდა ხოლმე მათთან, რომ ნელ-ნელ გამოეტყუა სხვადასხვა საიდუმლოებაში.

შემდეგ კრილენკო კითხულობს ჟანდარმ კომაროვის მოხსენებას მინისტრისადმი, სადაც ნათქვამია, რომ ოკლადსკის შემწეობით ჟანდარმთა პოლიციას ხელში ჩაუგდია ძალიან სახიფათო სახელმწიფო დამნაშავე ვინმე ტრიგონი.

ოკლადსკი ამ ჩვენებას ყალბათ სცნობს.

სოციალიზმისაკენ თუ კაპიტალიზმისაკენ?

წერილი მესამე

— უკან დახევა არ არის სასიამოვნო, მაგრამ როცა გცემენ, მაშინ რაღა გეკითხება—სასიამოვნოა, თუ არაო,—სწერდა ლენინი*). დიდი გამარჯვება იყო სტიქიურ სინამდვილეზე ის უკან დახევა, რომელიც მოახდინა მმართველმა პარტიამ ახალი ეკონომიური პოლიტიკით. ვისაც სოციალიზმის გამარჯვება სწყუროდა, იმისთვის, რასაკვირველია, სასიამოვნო არ იქნებოდა, მაგრამ ეს „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს“ აუცილებელი იყო სოციალისტური მომავლისთვის.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკას უნდა შეექმნა ორივე გვერდით მჭრელი იარაღი. უნდა აეღო კაპიტალიზმისაგან მთელი მისი სიმდიდრე და იმავე დროს საშუალება მოესპო მისი პოლიტიკური გამარჯვების. უნდა მოეხერხებინა ბურჟუაზიის გამოყენებაც და მისი დამორჩილებაც.

საწარმოო ძალების განვითარებას ეძიება თავისუფალი ასპარეზი, პიროვნული თავისუფლების პრინციპი, ეძიება ის, რასაც წარსული დროების ბურჟუაზიულმა რევოლიუციამ დაარქვა—მიუშვით თავის ნებაზე, აკეთოს, რაც უნდაო (haisser faire, laisser passer), საწარმოო ძალების ზრდა ვერ აიტანს ერთხელვე შეკერილ პერანგს. ამისთანა პერანგი იყო ფეოდალიზმი, ის გახია კაპიტალიზმის განვითარებამ, ამისთანა პერანგათ გაუჩნდა საწარმოო ძალების განვითარებას სამხედრო კომუნიზმი. არ გაუხდებოდა, რომ მოწინავე ქვეყნებშიაც დაწყებულიყო სოციალისტური რევოლიუცია. კაპიტალისტური სახელმწიფოების ალყაშემორტყმულ ქვეყანაში ვერ განხორციელდებოდა სოციალიზმი. ბოლშევიზმმა ლენინის გაბედული ხელით თითონ გახია ამიტომ სამხედრო კომუნიზმის პერანგი და გზა მისცა საწარმოო ძალების თავისუფალ ზრდას. ეს თავისუფლება არ უნდა ყოფილიყო, რა თქმა უნდა, უსაზღვრო და უთავბოლო, ეს ვერ უნდა გამოეყენებია ბურჟუაზიას მუშა-გლეხური ძალა-უფლების ჩამოსაგდებათ, ამ ძალა-უფლებას უნდა გამოეყენებია, პირიქით, თავისი გამტკიცებისათვის ბურჟუაზიის შესაძლებლობა-ცოდნა, ფული, ტექნიკა და სხვა.

რამოდენიმე თვის შემდეგ ლენინმა გადახედა ახალი ეკონომიური პოლიტიკის გზას და უთხრა თავის პარტიას:

— გაზაფხულზე *) ჩვენ ვამბობდით, რომ არ გვეშინია სახელმწიფო კაპიტალიზმისკენ დაბრუნების და მიზნათ ვისახავდით გაცვლა-გამოცვლის მოწესრიგებას. მთელი რიგი დეკრეტების, დადგენილებების, აუარებელი წერილები, მთელი ჩვენი პროპაგანდა, 1921 წლის გაზაფხულიდან დაწყებული—ყველაფერი ეს მიმართული იყო იმისკენ, რომ მოგვეწესრიგებინა გაცვლა-გამოცვლა. რა იგულისხმებოდა აქ, რა გვქონდა მხედველობაში? ჩვენ ვფიქრობდით ცოტათ თუ ბევრათ სოციალისტურ ნიადაგზე დაგვეყენებია მთელ სახელმწიფოში მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლა და ამით გაგვეცოცხლებინა მსხვილი მრეწველობა. როგორც ერთ-ერთი საფუძველი სოციალისტური ორგანიზაციის. რა გამოვიდა აქედან? გამოვიდა ის, რაც თქვენ კარგათ იცით ეს პრაქტიკიდან, ეს ჩანს მთელი ჩვენი პრესიდანაც,—რომ გაცვლა-გამოცვლას ფეხი აუცდა (сорвался). ის გადაიქცა ყიდვა-გაყიდვათ, და ჩვენ იძულებული ვართ შევიგნოთ ეს, თუ არ გვინდა თავი ამოვიმალოთ ფრთის ქვეშ, თუ არ გვინდა დავემგვანოთ იმ ხალხს, რომელიც ვერ ხედავს თავის დამარცხებას, თუ არ მოვერიდებით და პირდაპირ შევხედავთ საშიშროებას. უნდა აღვიაროთ, რომ არ კმარა ჩვენი უკან დახევა, კიდევ უნდა დავიხიოთ, უნდა გადავიდეთ ყიდვა-გაყიდვის და ფულის ტრიალისაკენ, უნდა მოვაწესრიგოთ ეს სახელმწიფოებრივათ (к государственному регулированию купли-продажи и денежнаго обращения, კერძო ბაზარი ჩვენზე უფრო მძლავრი გამოდგა, გაჩნდა ჩვეულებრივი ყიდვა-გაყიდვა, ვაჭრობაო. *)

უკან დახევა მოხდა თანდათანობით, როგორც იტყვიან, წესრიგის დაცვით. 1921 წლის გაზაფხულზე ლენინმა საკითხი დააყენა სასურსათო გადასახადის შესახებ. გლეხს უნდა გადაეხადა სახელმწიფოსთვის თავისი ნაწარმოების ზედმეტი, დანარჩენი შეეძლო უკვე თავისუფლათ გაეყიდა. ამ ორივე გზით ქალაქი მიიღებდა სოფლიდან სურსათს, საშუალება მიეცემოდა მაღლა აეწია თავისი წარმოება და მიეცა სოფლისათვის საჭირო საქონელი, ეს უნდა ყოფილიყო გაცვლა-გამოცვლა სახელმწიფოებრივათ ერთგვარ კალაპოტში ჩაყენებული. მერე, როგორც ლენინი ამბობდა, კერძო ბაზარმა და ყიდვა-გაყიდვამ თავისი გაიტანა, სახელმწიფოსაც უნდა დაეხია კიდევ ცოტა უკან და თავისი მეურნეობა ჩაეყენებია ყიდვა-გაყიდვის, ფულის ტრიალის, თავისუფალი ბაზრის პირობებში.

მრეწველობა გადავიდა ე. წ. კომერციულ, სამეურნეო ანგარიშზე, ის გამოვიდა სახელმწიფოს მზრუნველობიდან, თითონ უნდა ეზრუნა თავის თავზე. რაც მეტს დაამზადებდა თავისუფალ ბაზარზე გასატანათ, რაც უფრო ხელსაყრელათ გაყიდდა, რაც მეტს მოიგებდა, მით უფრო წინ წასწევდა თავის წარმოებას.

ასე გაეღო კარი კაპიტალიზმს სოციალიზმში, ბურჟუაზიას მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში. მმართველი პარტიის პრესაში 1921—1922 წლებში ხშირათ იწერებოდა ახალი საშიშროების შესახებ,—შესაძლებელია კაპიტალიზმი მოგვერიოს, ან ჩვენ მოგველოდეს ბურჟუაზიული გადაგვარებაო.

შიში გამოდგა უსაფუძვლო. საბჭოთა პოლიტიკური ძალა-უფლება არ შერყეულა. ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა დარჩა იმ, ასე ვსთქვათ პირობით, რომ ბურჟუაზია არ გამოსულიყო მუშათა კლასის ხელქვეითობისაგან.

გადიოდა დრო, ვითარდებოდა კერძო თაოსნობა, კერძო კაპიტალი ის იჭერდა ახალ-ახალ ადგილებს მრეწველობაში, ვაჭრობაში, სასესხო დაწესებულებებში, ურთიერთობა სახელმწიფოსი და ბურჟუაზიის კი რჩებოდა უცვლელი.

სახელმწიფოს უნდა გაეჩინოდა საიდანმე ახალი წყარო, რომ მეტოქეობა გაეწია კერძო კაპიტალისთვის, საზრდო მიეცა თავისი მეურნეობისთვის, კოოპერაციისთვის და შეეჩერებინა კერძო კაპიტალის ზრდა. ეს წყარო იქნებოდა საზღვარ-გარეთის სახელმწიფოებთან კავშირის მოწესრიგება, იქიდან სესხის მიღება. ამ წყაროებიდან ნაშოვნ თანხებს ის მოახმარდა სახელმწიფოებრივი მეურნეობის განვითარებას.

ამ იმედით მმართველი პარტია გადავიდა შეტევაზე და უკან დაახევინა კერძო კაპიტალს. 1923 წლის დეკემბერში მისმა კონფერენციამ იანვარში მიიღო შემდეგი რეზოლიუცია.

„ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვაჭრობის მოწყობას, რადგანაც ვაჭრობის აპარატით უნდა მოხდეს სახელმწიფოებრივი მრეწველობის და გლეხის ბაზრის შემჭიდროება (смычка) უშუალოდ. რაც უფრო გაფართოვდება კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობა, რაც უფრო მეტი ასპარეზი მიეცემა მათ, მით უფრო გაფართოვდება სოციალისტური მეურნეობა, და რაც უფრო შესუსტდება კოოპერაცია, სახელმწიფო ვაჭრობა, რაც უფრო გაღონიერდება, კერძო შუამავლის—მყიდველის, ვაჭრის პოზიცია, მით უფრო გაფართოვდება ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ბატონობის ასპარეზი.

ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მასიური მომხმარებელი მუშა და გლეხი ეტანებოდეს კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობას. შეიგნოს მისი უპირატესობა და გვერდს უხვევდეს კერძო კაპიტალის საფუძველზე აგებულ ვაჭრობას. ამიტომ უნდა მივიღოთ მთელი რიგი ზომების, რომ კოოპერატიულმა ორგანიზაციამ განდევნოს, უკან წასწიოს კერძო სავაჭრო კაპიტალი“.

ეს შეტევა დაიწყო ყოველ კუთხიდან. კერძო კაპიტალი თანდათან იძულებული შეიქნა ჩამოშორებოდა დაკავებულ ადგილებს. ეკონომიური პრესა სიხარულით აღნიშნავდა ხოლმე ამის მაჩვენებელ ფაქტებს, ციფრებს.

მაგრამ თავისთავად ცხადია, არ კმარა კერძო კაპიტალის მოკვლება, უნდა ხდებოდეს იმავე დროს სახელმწიფო კაპიტალიზმის, სახელმწიფო ვაჭრობა-მრეწველობის ზრდა, თუ ეს არ ხდება, თუ კერძო კაპიტალის განდევნასთან ერთად ხდება სახელმწიფო სამრეწველო-სავაჭრო კაპიტალის კლება, თუ კოოპერაციაც ვერ იზრდება, მაშინ ეკონომიური პოლიტიკა მიზანს ვერ აღწევს. მაშინ შეტევა კერძო კაპიტალზე აღარ არის მეურნეობის წინსვლა.

1923—1924 წელს წარმოების ღირებულება მთელ მრეწველობაში მოძრაობდა ასე:

ოქტომბერი	—252,5	მილ. მან. (ჩერვ.)
ნოემბერი	— 231.7	„ „ „
დეკემბერი	— 217,5	„ „ „
იანვარი	— 223,5	„ „ „
თებერვალი	—230,0	„ „ „
მარტი	— —213,3	„ „ „
აპრილი	—203,3	„ „ „
მაისი	— —212,4	„ „ „
ივნისი	— —199.7	„ „ „
ივლისი	—105,9	„ „ „ *)

უკანასკნელ თვეებში არის, როგორც ვხედავთ კლება.

ახლა დავხედოთ ციფრებს, როგორ იზრდებოდა სახელმწიფო მრეწველობის დავალიანება. სახელმწიფო და სამრეწველო ბანკების ემართათ სახელმწიფო მრეწველობის დაწესებულებებს (მილიონობით)**)

1 ოქტ. 23 წ.	1 იანვ. 24 წ.	1 აპრ. 24 წ.	1 ივლ. 24 წ.
143,7	189,0	231,8	324,9

კიდევ უფრო პესიმისტურად უყურებს სახელმწიფო მრეწველობის დავალიანებას Финансовая Газета (11 ნოემბრის ნომერი, 1924 წ.) ის სწერს მოწინავეში:—წინასწარი ცნობების მიხედვით, სახელმწიფო მრეწველობას დაედო 400 მილიონზე მეტი საკრედიტო დაწესებულებების ვალი. 1 ოქტომბერს 1923 წლის ემართა ბანკების 155 მილ. მანეთი, მაშასადამე, ერთი წლის განმავლობაში დავალიანება მთელი ჩვენი მრეწველობის გაიზარდა საერთოდ 250 მილ. მანეთით—160 პროცენტით“.

დავალიანება იმის ნიშანია, რომ სახელმწიფო მეურნეობა ვერ დგას თავის ფეხზე და პატრონობა სჭირდება სახელმწიფოს მხრივ. ამით ირღვევა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრინციპი. იმის მაგივრათ, რომ მრეწველობის წინსვლა აძლიერებდეს მუშა-გლეხურ სახელმწიფოს, თითონ ეს მრეწველობა ცხოვრობს ამ სახელმწიფოს ხარჯზე. ეს არსებითად იგივე მზრუნველობაა სახელმწიფოსი, როგორიც იყო ახალ ეკონომიურ პოლიტიკამდის. მზრუნველობის, დავალიანების ქვეშ, ცხადია, საწარმოო ძალების ზრდა არ მოხერხდება.

ამ ზრდის მაჩვენებლათ არ ჩაითვლება მაშინ ის გარემოება, რომ კერძო კაპიტალის მონაწილეობა ვაჭრობაში თანდათან კლებულობს:

მიმდინარე სამეურნეო წლის
1 მეოთხედში

	ბირჟ. ვაჭრ.	სახ. ვაჭრ.
ოქტომბერი	100 პროც.	100 პროც.
ნოემბერი	109 პროც.	94
დეკემბერი	143	162
II მეოთხედში		
იანვარი	100 პროც.	100 პროც.
თებერვალი	124	146
მარტი	96	109
III მეოთხედში		
აპრილი	100 პროც.	100 პროც.
მაისი	105	104 პროც.
ივნისში	97	97 ***)

ეკონომიური წინსვლის საერთო მაჩვენებელი ის იქნება, რომ საქონლის ბრუნვა იზრდებოდეს. თუ კერძო კაპიტალის მონაწილეობა ფართოვდება ამ დროს და ამითია გამოწვეული საქონლის ბრუნვის ზრდა საერთოთ, მაშინ იმარჯვებს კაპიტალისტური ხაზი და მკაფიოთ ველარ სჩანს სოციალისტური ხაზი. თუ კერძო კაპიტალის მონაწილეობა პატარავდება და საქონლის საკმაო ბრუნვის ზრდა აიხსნება სახელმწიფო ორგანოების, კოოპერაციის გაფართოებული მონაწილეობით, მაშინ იმარჯვებს სოციალისტური ხაზი, ფერი ეკარგება კაპიტალისტურ ხაზს. თუ კერძო კაპიტალის ასპარეზიც ვიწროვდება, საქონლის საერთო ბრუნვაც კლებულობს, მრეწველობის ზრდაც ვერ ხერხდება, მაშინ სოციალიზმის და კაპიტალიზმის ბრძოლა ხდება თანასწორ პირობებში და სოციალიზმი ძლიერია მხოლოდ იმით, რომ მის ხელშია პოლიტიკური ძალა-უფლება.

გაზ. „Экономическая Жизнь“ 23 დეკემბრის 1924 წლის ნომერში იძლევა კონიუქტურულ მიმოხილვას და აკეთებს დასკვნებს.

— საქონლის ბრუნვის მხრივ ნოემბერი ოქტომბერთან შედარებით 11 პროცენტით იკლებს.

შინაურ საბითუმო ვაჭრობაში როგორც ბირჟების, ისე ტრესტების და სინდიკატების ბრუნვას ემჩნევა თვალსაჩინო კლება—59 ბირჟას 17 პროცენტით და 58 პროვინციის ბირჟას —10 პროცენტით.

ცალობრივ ვაჭრობას ემჩნევა შენელებული (замедленный) ზრდა. ადგილ ადგილ ქალაქის და სოფლის მოსახლეობასაც ეტყობა სყიდვითი საშუალების კლება (понижение покупательной способности).

მსხვილ მრეწველობას მაშინ ექნება საყოფათ ძირითადი და საბრუნავი თანხა. როცა ადგილი აქვს მოქნილ, დაჩქარებულ, შეუფერხებელ საქონლის ტრიალს ბაზარზე. ეკონომიურ პრესაში აქამდისაც ესმებოდა ხაზი და ეხლაც ესმება იმ გარემოებას, რომ კერძო კაპიტალს აქვს ეს მოქნილობა. უფრო მოხერხებულად და ჩქარა ბრუნავს ბაზარზე. ამიტომ ეკონომიურ პოლიტიკის დანიშნულებაა კერძო კაპიტალის გამოყენება და არა მისი მექანიკურათ გადევნა.

— „რადგან სახელმწიფო მრეწველობას, კოოპერაციას არ ყოფნის თავისი საბრუნავი საშუალებები, ამიტომ საქონლის ბრუნვაში შესაძლებელია და საჭიროც კერძო კაპიტალის ცოტა უფრო ფართოდ შემოშვება, მით უფრო რომ, ეს შემოშვება, ხდება უკანა კარებიდან“, ხდება ეს თითონ სახელმწიფო დაწესებულებების და კოოპერაციის ხელით, და ისე ხდება რომ სახელმწიფოს მეტი ზარალი მოუდის ამ გზით. მეტი მოქნილობა და მიხვრა-მოხვრა უნდა გვქონდეს. როცა საქონელი მოგვაქვს ბაზარზე, როცა სავაჭრო დაწესებულებები საქმეს იჭერენ კერძო კაპიტალთან. მეტადრე უნდა ქონდეს ამისთანა მოქნილობა ადგილობრივ დაწესებულებებს, რომლებიც აწყობენ ვაჭრობას, რომლებსაც მალი მოუდის ხოლმე და ადმინისტრატიული ზომებით ავიწროვებენ კერძო კაპიტალს იმის მაგივრათ, რომ პარტიის მე-13 ყრილობის დადგენილების თანახმათ დაიმორჩილონ და გამოიყენონ კერძო კაპიტალი. ადმინისტრატიულ პარტიზანობას აქ უნდა მოეღოს ბოლო“ *).

წინა კარებიდან გადევნილი აკრძალული კაპიტალი შედის უკანა კარებიდან. ადმინისტრატიულ ზომებს გავს ისეთი მოწესრიგებაც, როგორიცაა მეტი შეღავათიანი სესხი სახელმწიფო დაწესებულებებისთვის, კოოპერაციისთვის. და შევიწროება სესხის მხრივ კერძო დაწესებულებების. ამისთანა ზომების შედეგია, და ამას აღნიშნავს ეკონომიური პრესა, რომ სახელმწიფო დაწესებულებები, კოოპერაცია ვალიანდება, მზრუნველობის ქვეშ გადადის, ფრთას მაინც ვერ შლის, კერძო კაპიტალს მაინც ნიადაგი არ ეცლება.

ამას მიაქცია ყურადღება პროფესიონალური კავშირების მე-6-ე ყრი-

---

*) „Правда“ 1921 წ. 4 ნოემბერი.

*) გაზაფხულზე (1921 წ.) იყო, როგორც იცით, დაწყებული ახალი ეკონომიური პოლიტიკა.

*) „Правда“ № 248—249, 1921 წ.

*) „Социалистическое хозяйство“, 2, 1924 წ., გვ. 19.

**) Социалистическое хозяйство“, 4,1924 წ., 297,301.

***) Социалистическое хозяйство IV, 1924 г. 372.

*) Экономическая жизнь 26 ноября 1924 წ.

ს. ს. ს. რ. ს. ს. კომისართა საბჭოს
საინფორმ. [illegible] განყოფილების
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიჩის ხსოვნის აღსანიშნავად

კონკურსი ლენინის ძეგლის ასაშენებლად

მოსკოვი 13 იანვარი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა გამოაცხადოს კონკურსი მოსკოვში წითელ მოედანზე ლენინის ძეგლის პროექტის შესამუშავებლად. ეს კონკურსია 3 საფეხურიან კონკურსის პირველი საფეხური მოსკოვში ლენინის მონუმენტის ასაშენებლად. არსებითად ეს არის იმ მონუმენტის იდეის კონკურსი, რომელიც არა სავსებით გარკვეულად უნდა განსაზღვრავდეს მონუმენტის მომავალ პროექტების შინაარსს და ფორმას.

ავტორებს სრული თავისუფლება ენიჭებათ იდეის დამუშავების დროს. დასაშვებია გათვალისწინებულ გეგმიდან გადახვევა, ოღონდ უნდა იქნას დაცული კონკურსის მთავარი იდეა.

საკონკურსოთ დანიშნულია 10 პრემია 1.000 400 მანეთამდე.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ამხ. სერებროვსკის დაბრუნება უცხოეთიდან

მოსკოვი. 11 იანვ. ამ დღეებში უცხოეთიდან დაბრუნდა „აზნეფტ"-ის თავმჯდომარე სერებროვსკი, რომელმაც იმოგზაურა ამერიკაში, ინგლისში, ბელგიაში, საფრანგეთში და გერმანიაში. მისი მოგზაურობის მიზანი მდგომარეობდა უმთავრესად იმაში, რომ გაცნობოდა ახალ მიღწევებს ნავთის საქმის ტეხნიკის დარგში და აგრეთვე გაეცნო უცხოეთის დაინტერესებულ წრეებისათვის საბჭოთა ნავთის მრეწველობის მდგომარეობა.

საკავშირო ტრანსპორტის ინჟენერთა და ტეხნიკოსთა ყრილობა.

მოსკოვი. 10 იანვ. 15 იანვარს მოსკოვში იხსნება სრულიად საკავშირო ტრანსპორტის ინჟენერთა და ტეხნიკოსთა ყრილობა.

ამხ. ბრამლის სამადლობელი წერილი.

მოსკოვი. 10 იანვარი. გზათა სახ. კომისარმა მიიღო ინგლისის ტრედ-უნიონების დელეგაციის მდივან ბრამლისაგან სამადლობელი წერილი, წერილში გამოთქმულია მადლობა იმ სამსახურისათვის, რომელიც ტრანსპორტმა გაუწია დელეგაციას საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს. მთელი დელეგაციის სახელით ბრამლი აღნიშნავს საბჭოთა კავშირის რკინის გზის ტრანსპორტის უდიდეს მიღწევებს.

უკრაინა

უბედური შეჯახება სადგურ პრიგორიეში

ბრიანსკი. 10 იანვარი. სადგურ პრიგორიეში სამგზავრო მატარებელი დაეჯახა საბარგო მატარებელს. დაიმსხვრა 9 ვაგონი. ადამიანთა მსხვერპლი არ არის. სადგურის უფროსმა თავი მოიკლა. დაჯახების მიზეზი იყო სემაფორის გაღება და სამგზავრო მატარებლის შემოშვება იმ ხაზზე, სადაც საბარგო მატარებელი იდგა.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარისტანი

კალოშები ბათუმისათვის

ბათუმი. 10 იანვ. სახელმწიფო ბანკმა გამოიწერა მოსკოვიდან კალოშების დიდი პარტია მცხოვრებთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

ნავთი.

ბათომი. 10 იანვ. ნავთის ნაკლულოვანება თავიდანაა აცილებული. მუშათა კოოპერატივმა მოაწყო ნავთის მიწოდება მომხმარებელთათვის.

რეალური ბრძოლა უმუშევრობასთან.

ბათომი. 10 იანვ. აჭარისტანის შრომის სახ. კომისარიატმა გახსნა მექანიკური სახელოსნო უმუშევრობასთან საბრძოლველათ. სახელოსნოში მუშაობს მხოლოდ ახალგაზრდობა.

სამელიორაციო მუშაობა.

ბათომ. 10 იანვარი. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გაუხსნა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს გრძელვადიანი კრედიტი აჭარისტანის სამელიორაციო სამუშაოების საწარმოებლათ.

აზერბეიჯანი

„აზნეფტ"-ის ზარალი.

ბაქო. 12 იანვ. დაახლოებითი ანგარიში ზარალი, რომელიც მიაყენა „აზნეფტ"-ს ქარბუქმა, უდრის ერთ მილიონ მანეთს.

სომხეთი

სომხეთის წითელი ჯვარის გამგეობის წერილი უცხოეთში მყოფ სომხებისადმი

ერევანი. 12 იანვარი. სომხეთის წითელი ჯვარის გამგეობამ გამოაქვეყნა ადგილობრივ პრესაში ღია წერილი უცხოეთში მყოფ სომხებისადმი. წერილში გამგეობა აცნობებს მათ, რომ სომხეთის წითელ ჯვარს აქვს უცხოეთში მხოლოდ ხუთი განყოფილება—ნიუ-იორკში, პარიზში, მარსელში, ათინაში და თავრიზში და აფრთხილებს მათ, რომ ადგილი არ ექნეს სადმე სომხეთის წითელი ჯვარის ყალბი განყოფილების გახსნას. ახალი განყოფილებების გახსნა შეიძლება მოხდეს მხოლოდ გამგეობის ნებართვით.

ქარბუქი ამიერ-კავკასიაში

ნამქერში დაღუპვა

— ქუთაისი. 13 იანვარი სოფ. ბაშის ახლოს ძლიერ ქარბუქში დაიღუპა ორი მეჯოგე გლეხი და 60 ცხენი.

13 იანვარს ხაშურის ხაზზე განუწყვეტლივ თოვს. ქარი ძლიერდება. მთელი რკინისგზის ლიანდაგები დაფარულია თოვლით. სამუშაოთ გაგზავნენ თოვლმწმენდები. მატარებლების მიმოსვლა გვიანდება.

სამტრედია. გუშინ 13 იანვარს განუწყვეტლივ სწვიმდა. თოვლი თანდათანობით დნება.

ქუთაისში წვიმა და თოვა ძლიერდება. წყალდიდობა ჯერჯერობით მოსალოდნელი არ არის.

ბორჯომი. განუწყვეტლივ თოვს მატარებლების მოძრაობა ფერხდება.

ბაქო. 13 იანვარს გაძლიერდა ჩრდილოეთის ქარები, რომლის ძალა უდრის 4 ბალს. ცა ღრუბლიანია, სუსტი თოვაა. მოძრაობას ხიფათი არ ელის.

სომხეთის ხაზზე თოვს.

ლობაზე საკავშირო მთავრობის თავმჯდომარემ რიკოვმა,—როცა სახელმწიფო მრეწველობა უსაზღვრო სესხს აძლევს კოოპერაციას, უთუოდ ახლო მომავალში ქვედა კოოპერაცია (низовая кооперация) შეფერხდება, კრიზისის მსხვერპლი გახდება და ეს გართულებას გამოიწვევს მრეწველობისთვისო.

კერძო კაპიტალი რომ ყოველივე ადმინისტრატიული და სხვა ზომების მიუხედავათ ცოტათი რჩება უკან კოოპერაციას და ხან წინაც უსწრებს, ეს სჩანს, სხვათა შორის შემდეგი ციფრებიდან:

ტრესტების საქონლის ბრუნვაში კერძო კაპიტალის და კოოპერაციის მონაწილეობა—1923–24 წ.

მოსკოვის საქონლის ბირჟებში.

	I მეოთხედი	II მეოთხედი	III მეოთხედი	IV მეოთხედი.
კოოპერ.	7 პრ.	14 პროც.	18 პროც.	25 პროც.
კერძო კაპ.	21 პრ.	21 პროც.	15 პროც.	8 პროც.
70 პროვინც. ბირჟაში:				
კოოპერ.	17 პრ.	25 პროც.	33 პროც.	38 პროც. *)
კერძო კაპ.	18 პრ.	20 პროც.	16 პროც.	9 პროც.

რიკოვის გამოსვლის შემდეგ ეკონომიურ პოლიტიკაში არის ხაზის გამომართვა კერძო კაპიტალის სასარგებლოთ.

„ბუნება სიცარიელეს ვერ ითმენს",—ამბობს არა მარტო ფიზიკის, არამედ ეკონომიკის კანონიც. საბითუმო ვაჭრობიდან გადევნილი კერძო კაპიტალი ან გაიქცევა საზღვარ-გარეთ, და ეს სულაც არ არის ხელსაყრელი, როცა ასე ღარიბი ვართ, ან ეტანება სავალიუტო, [illegible] ოპერაციებს და არც ეს არის სასურველი სრულიად ჩვენი სახელმწიფოებრივი მოსაზრებით. ანგარიში უნდა გავუწიოთ ბაზრის მდგომარეობას, საერთო ხელსაყრელ კონიუნქტურას, ფულის ნაკლებობას. და ამიტომ თეორეტიული მოსაზრებებიდან უნდა გადავიდეთ პრაქტიკულ ზომებზე: ამითი გამოვიყენებთ იმ სყიდვითი საშუალებას (покупательную способность), რომელიც აქვს მოსახლეობას, ამითი გავაფართოვებთ საქონლის ბრუნვას ბაზრებზე" *). 1924 წ.

არის, თუ შეიძლება ასე ითქვას ხელჩართული ბრძოლა ეკონომიკაში. არის წინ წაწევაც, უკან დახევაც. წინ იწევს და უკან იხევს ხან კაპიტალიზმი, ხან სოციალიზმი. კერძო კაპიტალმა რომ გაიფართოვოს თავისი ასპარეზი ყველგან, სიცოცხლე შეიტანოს საქონლის ბრუნვაში, ძირითადი და საბრუნავი თანხები შეიტანოს მრეწველობაში, გზა მისცეს საწარმოო ძალების ზრდას, ეს კიდევ არ იქნება კაპიტალიზმის გამარჯვება, როცა სახელმწიფოებში ძალა უფლება არ ეკუთვნის კაპიტალს.

ვინც ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე იმ იმედს ამყარებს, რომ კერძო კაპიტალის გაფართოება სახელმწიფოებრივ ძალაუფლებასაც წაართმევს ახლანდელ მმართველ პარტიას, ის არ გამოდის ეკონომიური წინსვლელობის მოსაზრებიდან. ძალაუფლების გადასვლა ერთი ხელიდან მეორეში ვერ შექმნის ახლა ეკონომიური წინსვლის პირობებს. ახლანდელმა ძალაუფლებამ უნდა მისცეს გზა კერძო კაპიტალს იმდენათ, რამდენათაც ეს საჭიროა მსხვილი ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის. კერძო კაპიტალის ხელოვნურათ შევიწროება ამასთან დაკავშირებით საქონლის ბრუნვის კლება ბაზარზე და მსხვილი მრეწველობის ნელი განვითარება არ იქნება გზა სოციალიზმის გამარჯვებისკენ.

პოლიტიკა ეკონომიკის ზედნაშენია, მაგრამ პოლიტიკას გავლენა აქვს ეკონომიკაზე. ოღონდ კერძო კაპიტალი ნუ იქნება და დაქვეითდეს საერთოთ ვაჭრობა-მრეწველობა,—ეს არ გამოვა სოციალისტური პოლიტიკა. სოციალიზმი უფრო უნდა უწყობდეს ხელს საწარმოო ძალების განვითარებას, ვიდრე კაპიტალიზმი. ამითი უნდა გაიმარჯვოს სოციალიზმმა კაპიტალიზმზე, უამისოთ მტკიცე ვერ იქნება მისი პოლიტიკური გამარჯვებაც.

ხ. დევდარიანი.

---

*) Торгово-пром. газета 27 ноября,

*) იქვე.

სატრანზიტო გზის გახსნა სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის

ხელშეკრულება საზ. „რუსტრანზიტ"-სა და სპარსეთის ვაჭრების საზოგადოების შორის.

(საუბარი „რუსტრანზიტ"-ის რწმუნებულთან თავრიზში).

სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ეკონომიური ურთიერთობის აღდგენის დროიდან წამოიჭრა საკითხი სატრანზიტო გზის გახსნის შესახებ—საბჭოთა კავშირის ტერიტორიით საქონლის გაცვლა-გამოცვლისათვის ევროპის სახელმწიფოებსა და სპარსეთს შორის. დღემდე სატრანზიტო გზა არ იყო გახსნილი.

მოსკოვიდან თბილისში ჩამოსულმა, საზოგადოების რწმუნებულმა თავრიზში, მოქ. **ფონ-შრაიბერმა** ჩვენს თანამშრომელს საუბრის დროს აცნობა, რომ სულ ეხლა მოსკოვში დამტკიცებულ იქნა ხელშეკრულების პროექტი სპარსეთის ვაჭრებთა, რომლებსაც სათავეში უდგას ხაჯი-მირზა-ალა ფაშის და კომპანიის ფირმა.

ხელშეკრულების თანახმად, „რუსტრანზიტი" და სპარსეთის ვაჭრები ერთად აწარმოებენ საქონლის ექსპორტს ევროპის ბაზრებზე საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გატარებით, აგრეთვე ევროპიდან შეაქვთ საქონელი სპარსეთში.

საზოგადოებას და სპარსეთის ვაჭრებს შეუძლიათ აწარმოონ როგორც საექსპორტო, ისე საიმპორტო საქონლის რეალიზაცია საბჭოთა კავშირის ბაზრებზე. სპარსეთის ვაჭრები კისრულობენ „რუსტრანზიტის" წინაშე, რომ წლის განმავლობაში მოახდინონ საქონლის ექსპორტ-იმპორტის არა ნაკლებ 26 მილიონი კრანის ღირებულებისას.

ხელშეკრულება ფართე პერსპექტივებს უშლის ორივე მხარეს, რომ არ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ მის წყალობით ფეხიდან ნიადაგი ეცლება დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, რომელნიც ცდილობენ სპარსეთის ბაზრის დაპყრობას.

ხელშეკრულების პროექტი ხელმოწერილ იქნა თავრიზში 1924 წ. 24 ნოემბერს, იგი წარედგინა საზოგადოების გამგეობას და საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის კომისარიატს და დამტკიცებულ იქნა.

თავის მხრივ ხელშეკრულების პროექტი დამტკიცებულია სპარსეთის მთავრობის მიერ.

ხელშეკრულება ძალაში შევა „რუსტრანზიტ"-ის რწმუნებულის, ფონ-შრაიბერგის თავრიზში ჩასვლისთანავე, იანვრის მეორე ნახევარში.

პარტიული ცხოვრება

საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად

ცეკას სამდივნოს დადგენილებით, საბჭოების ხელახალი არჩევნების კამპანიის ჩასატარებლად მობილიზაციის წესით მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: მარიამ ორახელაშვილი, პიროტაძე ლ., ნუცუბიძე გალ., სვანიძე გრამიტონ, კალატოზოვი, ჯაფარიძე მ., ბობოხიძე, მ ქაძე არჩილ, რუხაძე არჩილ, ჯალაღანია ლიდა, კალანდაძე გენო, გორგაძე ნადეჟდა, კიკნაძე ნიკო, ციხელაშვილი იხარულიძე ვ., იტრიევი ვას., კალანდაძე ერმ., კვირიკაძე არტ., სოკოლოვსკი ნიკ. კასან-საბრი, კაჭარავა, იაშვილი ალ., ხომერიკი კ., ფრანგულიანი კაჭარავა კ., ფარნიევი, ურუშაძე ამ., საბაშვილი პ., ოკუჯავა ნ., ფანცულაია (პირველი რაიკომი), ფანცხავა (მიწატყის მუშაკთა კავშირი), მამულია ილიკო, რუხაძე ლენტორ, აკაქიძე ვ. და იუზბაშევი აშრაფ.

აღნიშნულ ამხანაგებს პარტიული დისციპლინის წესით წინადადება ეძლევათ გამოცხადდნენ ა/წ. 13 იანვარს ცეკას საორგანიზაციო განყოფილებაში არა უგვიანეს 12 საათისა.

ს. კ. პ. ცეკას მდივანი **მიხ. კახიანი.**

ს. კ. პ. ცეკას საორგ. განყ. გამგე **გორგაძე.**

მოსკოვის საკონტროლო კომისიის პლენუმი

მოსკოვი. 12 იანვარი. მოსკოვის საკონტროლო კომისიის პლენუმზე მოსკოვის საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა სავატეევმა, რომელმაც აღნიშნა დიდი მიღწევები მოსკოვის საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში. რაიონულ სამაზრო კონფერენციაზე და აგრეთვე ცალკე მსხვილ წარმოებებში ჩატარებულმა საანგარიშო კამპანიამ საშუალება მისცა მოსკოვის საკონტროლო კომისიას უფრო დაახლოვებოდა ფართო პარტიულ მასებს. ყოველგან მოსკოვის საკონტროლო კომისიის მოხსენებების გარშემო იმართებოდა ფართე კამათი; კამათში მონაწილე ამხანაგები აყენებენ მრავალ საკითხებს, რომლებიც მოითხოვენ გადაჭრას. ამ კამპანიამ მოსკოვის საკონტროლო კომისიას შესძინა დიდი მასალა, გამოაცოცხლა მისი მუშაობა. გაწეულია დიდი მუშაობა შრომის ნაყოფიერების გადიდების კამპანიის ჩასატარებლად.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოსკოვის საკონტროლო კომისიის მუშაობის სუსტ მხარეთ უნდა ჩაითვალოს არა საკმაო კავშირი გლეხობასთან, რის გამო საკონტროლო კომისიას განზრახული აქვს მე-13-ე საგუბერნიო პარტკონფერენციაზე შეიტანოს წინადადება თავისი წევრების შემადგენლობის 100 კაცამდე გადიდების შესახებ.

მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში პლენუმმა მოიწონა მოსკოვის საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის მუშაობა, სცნო სავსებით სწორად მის მიერ მუშაობაში აღებული გეზი და აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაფართოებულ იქნეს პარტიულ და უპარტიო მასების, ქალების და ახალგაზრდების ჩაბმა მუშაობაში სახელმწიფო აპარატის გასაუმჯობესებლად. რეზოლუცია მიუთითებს აგრეთვე იმაზე, რომ საკონტროლო კომისიებმა ადგილებზე მთელი ყურადღება უნდა მიაქციონ რ. კ. პ. ცეკას დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას—ჩააბან თავიანთ მუშაობაში ღარიბ და საშუალო გლეხთა მასები და გააძლიერონ მუშაობა საბჭოთა აღმშენებლობის დარგში.

სომხეთის კომპ. ცეკას გაფართოებული პლენუმი

ერევანი. 12 იანვ. 11 იანვარს გაიხსნა სომხეთის კომპარტიის ცეკას გაფართოებული პლენუმი სომხეთის კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის და სამაზრო კომიტეტების მონაწილეობით.

ცეკას პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა მდივანმა აშოტ იოანისიანმა.

იოანისიანის მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი. პლენუმმა მოიწონა ცეკას პრეზიდიუმის მუშაობა.

შემდეგ მოსმენილ იქნა სოფლად მუშაობის კომისიის თავმჯდომარის—ამბარცუმიანის მოხსენება.

დამცველთა კოლეგიის წევრთა გაწმენდა

გუშინ, ღამის 12 საათისათვის იუსტიციის კომისარიატში დამთავრდა დამცველთა კოლეგიის წევრთა საბოლოო გაწმენდა.

გამწმენდ კომისიის პრეზიდიუმში შედიოდნენ ამხ. ამხ. ახმეტელი (თავმჯდომარე), ვარძიელი, ი. ცინცაძე და სხვები.

თვითეული დამცველის ყოველმხრივი დახასიათებისათვის მოწვეულ იყვნენ თბილისის სახალხო მოსამართლენი და იუსტიციის მთელი რიგი სხვა მუშაკები. ყველაფერმა ამან უზრუნველყო გასაწმენდ პირების საფუძვლიანი გაცნობა.

პროვინციაში მყოფ დამცველთა შესახებ კომისიამ დაადგინა—შეეკითხოს ადგილობრივ აღმასკომებს და სახალხო მოსამართლეთ.

წმენდის საბოლოო დამტკიცებისათვის და ზოგიერთ დამცველთა შესახებ დამატებითი მასალების შესავსებად საქმეები გადაეცა სპეციალურ კომისიას, რომლის დასკვნის შემდეგ გამოქვეყნდება გამორიცხულ და დატოვებულ დამცველთა ვინაობა.

თბილისის აღმასკომის პლენუმი

გუშინ 13 იანვარს საღამოს შესდგა თბილისის აღმასკომის პლენუმი, რომელზედაც ამხ. **ვ. მესხმა** გააკეთა მოხსენება.

ახალი მშენებლობისათვის სესხის გამონახვის შესახებ.

იმის გამო, რომ ზემოავჭალის ელსადგური ამუშავებული იქნება მიმდინარე წლის ბოლოში, საჭირო ხდება ქალაქის საწარმოო დაწესებულებათა მომზადება ზემო-ავჭალის სადგურის ენერგიის გამოყენებისათვის.

წინასწარი ანგარიში უკვე შედგენილია. ამ ანგარიშით მთელ საწარმოო დაწესებულებათა მომზადებას სჭირდება 1.910.000 მანეთი.

ამ თანხიდან ტრამვაის ხელახალ მოწყობას სჭირდება 250.000 მანეთი, წყალსადენის—180.000 მან., ხოლო თბილისის საჰაერო ხაზის მოწყობას და ქუჩების განათებას—1.380.000 მანეთი.

საჭირო თანხის 20—25 პროც. მიღება შეიძლება თვით საწარმოო დაწესებულებებიდან, ხოლო დანარჩენი 1.500.000 მანეთი გამოსაძებნი ხდება. ეს თანხა შეიძლება მიღებულ იქნეს ბანკიდან სესხის გამოთხოვის საშუალებით. განზრახულია ეს სესხი ეთხოვოს მოსკოვის კომუნალურ ბანკს, რომელიც ახლა ეწყობა და რომელსაც მიზნად აქვს კრედიტი გაუხსნას საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებს.

სესხი გამოთხოვილი იქნება 3,5 წლით 9 პროცენტიანი წლიური სარგებლით იმ პირობით, რომ სესხის დაფარვა დაიწყოს 1927—28 საბიუჯეტო წლის 1 ოქტომბრიდან.

სესხის გარანტიათ უნდა იქნეს შემოსავალი კომუნალური წარმოებებიდან, შემოსავალი, რომელიც მიმდინარე საბიუჯეტო წელში ნავარაუდევია 6.530.000 მანეთი, ხოლო ზემო ავჭალის სადგურის ენერგიის გამოყენების შემდეგ წარმოებათა ეკონომია გადიდდება და ცხადია, დიდათ იმატებს კომუნალურ წარმოებათა წმინდა შემოსავალიც.

გაცხოველებული კამათის შემდეგ პლენუმმა

დაადგინა:

პრინციპიალურად აუცილებლად სცნოს საბანკო სესხის გამოთხოვა 1.500.000 მანეთის რაოდენობით, რომელიც გასტუმრებული უნდა იქნეს 5 წლის განმავლობაში.

ა.-კავკ. სტატისტიკოსთა თათბირი

12 იანვრის სხდომა

საქართველოს ცენტრ. სტატისტიკური სამმართველოს მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. არჩ. რუხაძე)

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველომ შესძლო გადიდრებულიყო სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში ფრიად ძვირფასი მასალებით, რომელნიც საკმაოთ აშუქებენ რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებას. მოხდა სრ. საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის აღწერა 1922 წ.; სავაჭრო-სამრეწველო აღწერა 1923 წელს და ამავე წელს სასოფლო სამეურნეო აღწერა.

სამმართველოს ძირითადი ამოცანა იყო 23 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის დემოგრაფიული ნაწილის დამუშავება, რადგან 1897 წელს აქეთ უკვე აღარ მოიპოვება მასალები მოსახლეობის დემოგრაფიულ შემადგენლობაზე.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის გამოსარკვევად მოხდა მეტრიკული მოწმობებიდან ამოღებულ მასალების დამუშავება სამი შემდეგი წლისათვის—1909, 11და 12 წლებისა. გარდა ამისა მუშავდება მოქ. აქტები ჩამწერი განყოფილებიდან 1923 და 24 წლების შესახებ მიღებული ცნობები, რომელთაც ზედმიწევნით სწორად აწარმოებენ მოქ. აქტ. ჩამწერი განყოფილებები.

სახალხო ჯანმრთელობის სტატისტიკის მოსაგვარებლად შემოღებულ იქნა ავადმყოფიანობის რეგისტრაციის სავალდებულო საბარათო სისტემა. 1923 წლის მასალები ჯანმრთელობის შესახებ უკვე დამუშავებულია. განზრახულია აგრეთვე რეგისტრაციის შემოღება კერძო ექიმებთან. 1925 წლიდან მოხდება აგრეთვე ყველა სამკურნალო დაწესებულებათა და მ. დ. პერსონალის აღწერა.

საანგარიშო წელს სამმართველო აგროვებდა და სისტემაში მოყავდა ის მასალები, რომელნიც ნათელს ჰფენენ სახალხო განათლების დღევანდელ მდგომარეობას. მომავალი გამოკვლევებისათვის შემუშავებულია ახალი პროგრამა, რომელიც შეიცავს კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის ყოველ დარგებს. გამოკვლევა უკვე დაწყებულია.

მორალურ სტატისტიკასაც ექცეოდა სათანადო ყურადღება. ხდებოდა ბოროტ-მოქმედების გამოკვლევა იუსტ. სახ. კომის. მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით.

ცენტ. სამმართველოს მთავარი ამოცანას შეადგენდა სასოფლო-სამეურნეო აღწერით მიღებული მასალის დამუშავება, რომელიც ამჟამად უკვე დასრულებულია და ამ მოკლე ხანში შეუდგებიან მასალების ბეჭვდას. იკრიბებოდა ცნობები ნათესების მდგომარეობის და სას. სამ. კულტურათა მოსავლების შესახებ.

ჩვენი სამრეწველო ცხოვრების შესასწავლად სწარმოებდა მუშაობა მრეწველობის სტატისტიკის სფეროში. წრეულს დამთავრდა ქალაქის სამრეწველო წარმოებათა აღწერიდან მიღებულ ცნობების დამუშავება, და მოკლე ხანში გამოიცემა.

კომუნალური მეურნეობის სტატისტიკისათვის განზრახულია საორგანიზაციო გეგმის შედგენა და არჩეულია კომისია, რომელსაც ევალება ამ საკითხის შესწავლა.

საანგარიშო პერიოდში გძელდებოდა მუშაობა აგრეთვე სატრანსპორტო, სახალხო კავშირის და საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის სფეროში.

იკრიბებოდა ცნობები აგრეთვე ფინ. სახ. კ-მის ორგანოებიდან. შეგროვილია დამუშავებული მასალები ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ. სისტემატიურად გროვდებოდა ცნობები ვალიუტის კურსის მოძრაობის შესახებ.

ჩვენი შინაური ვაჭრობის გამოსარკვევად 1923 წელს მოხდა სოფლად მომქმედი სავაჭრო დაწესებულებათა აღრიცხვა, რომლის შესახებ მასალები უკვე გამოქვეყნებული იქნა.

საანგარიშო პერიოდში პირველად მოხერხდა ცნობების შეგროვება ჩვენი კოოპერაციის მოქმედების შედეგების და ხასიათის გამოსარკვევად. გამორკვეულია კოოპერატიულ კავშირების და მათი წევრების რიცხვი, მათი სავაჭრო მოქმედების ბალანსები და ბრუნვები.

საანგარიშო წელს საქ. ცენტრსამმართველომ მოაწყო შრომის სტატისტიკის ბიურო, რომელიც მუშაობდა უმთავრესად იმ საგნებზე ფასების შესახებ ცნობების შესაგროვებლად, რომელიც შედის საბიუჯეტო ნაკრეფში.

დასასრულ მომხსენებელი ეხება ცენტ. სტ. სამმართველოს დამოკიდებულებას საგეგმო კომისიასთან და სტატისტიკური გამომცემლობის საკითხს. საანგარიშო პერიოდში ცენტ. სტატ. სამმართველომ გამოუშვა 7 სხვადასხვა სახელწოდების წიგნი, სამმართველოს აქვს აგრეთვე ერთი საუკეთესო ბიბლიოთეკა მთელს საქართველოში.

სომხეთის ცენტ. სტატისტ. სამმართველოს მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ტერ-ოსიპოვი)

სომხეთში სტატისტ. სამმართველო მოეწყო 1921 წლის დეკემბერში. სტატისტიკის მუშაკთა ნაკლებობას სომხეთი არ განიცდის. ამჟამად სამმართველოს მთელ სომხეთში ჰყავს 305 მოხალისე კორესპონდენტი, მათ შორის 56 გლეხი-კორესპონდენტი. მაზრებში მუშაობს 56 სტატბიურო. სტატისტიკური მუშაობას აბრკოლებს თანხის უქონლობა. სტატისტიკოსები ღებულობენ მეტად მცირე ხელფასს. მიუხედავად ამისა სტატისტ. სამმართველომ ჩაატარა რამოდენიმე მნიშვნელოვანი სტატისტიკური აღწერა. გარდა ამისა სამმართველოს ინიციატივით მოეწყო სტატისტიკური კურსები 120 კაცისთვის. სასოფლო-სამეურნეო აღწერის შემდეგ სამმართველო შეუდგა სკოლების გამოკვლევას. სათანადო სიმაღლეზე იქნა დაყენებული აგრეთვე ბუნებრივ მოძრაობის სტატისტიკა. ცენტ. სამმართველო აწარმოებდა მუშაობას სატრანსპორტო და კოოპერაციის სტატისტიკის სფეროებში. დასასრულ მომხსენებელი კიდევ ხაზს უსვამს იმ დაბრკოლებებს, რომელნიც განსაკუთრებით შეუძლებელს ხდიან სტატისტიკურ მუშაობას სომხეთში. მომხსენებელს აძლევენ შეკითხვებს, რომელზედაც მომხსენებლის მიერ პასუხის გაცემის შემდეგ სხდომა იხურება.

საბჭოთა სასამართლო

ქმარისთვის თავის მოჭრა

13 იანვარს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ გარჩია საქმე ღარია სკეჩკარიოვასი, რომელმაც დანით თავი მოსჭრა თავის ქმარს სიმონ ბრიკინს, როცა უკანასკნელს ეძინა. ბოროტმოქმედება მომხდარა შემდეგ პირობებში: სკეჩკარიოვას ქმარს ერთს საღამოს, როცა მას სტუმრები ჰყოლია ოჯახში, განუცხადებია ოფიციალურად ცოლისათვის, რომ მას სხვა უყვარს, მასთან კი არ სურს ცხოვრება და ისინი უნდა გაშორდენ ერთმანეთს. სტუმრების წასვლის შემდეგ დაუძინნია ბრიკინს. ძილის დროს მის ცოლს აუღია დიდი დანა და ქმრისთვის გამოუჭრია ყელი, როცა ბრიკინს წამოდგომა მოუნდომებია მისი ცოლი შევარდნილა მეორეჯერ და სულ მოუჭრია თავი ქმრისათვის და გამოვარდნილა ეზოში ყვირილით.

განაჩენი

სასამართლომ ბრალდებულს მიუსაჯა 8 წლის ციხე, მკაცრი იზოლიაციით, მაგრამ 28 მუხლის შეფარდებით სასჯელის მოხდის ვადა ბრალდებულს გაუნახევრდა.

მგლების თარეში

ბოლო კვირეების სასტიკმა სიცივემ და ყინვამ დიდი გავლენა იქონია გარეულ ნადირებზეც.

მთაში და ტყეში აღარავითარი საზრდო არ მოეპოვებათ. ამიტომ ყველა ცხოველები ძალა-უნებურად ეტანებიან ადამიანთა საცხოვრებელ ბინებს.

ამას წინეთ გაზეთებში იყო ცნობა, რომ ლენქორანის მახლობლათ ლომი დათარეშობსო.

ჯეირნის ჯოგები ჩამოცვინულან ნუხის მახლობელ სოფლებში და გლეხები თურმე ლამის ხელდახელ იჭერენ.

ბაქოს მახლობლათ კი მგლის ჯოგები დაეხეტებიან.

საქართველოს სხვადასხვა მხარეებიდანაც ბევრი ამბები მოდის მგლების თარეშზე.

საქონელს რომ ვეღარაფერს ავნებენ, რადგან ბოსლებში არის დამწყვდეული, ეხლა ადამიანებზე ნადირობენ ისინი.

სოფ. ვაყის თავზე (ზემო-ქართლი) შეუჭამიათ ერთი რუისელი გლეხი. ქარელთანაც შეუჭამიათ ერთი კაცი.

დაბა ალში (ზემო-ქართლი) შიგ აღმასკომში შევარდნილა სიმშილით სულგამწარებული მგელი, რომელიც იქვე მოკლათ.

სოფელ წაღვერთან ორი მგელი დასცემოდა ცხვრის ფარას. მეცხვარეები შებრძოლებოდნენ. დიდ თოვლში ვეღარ გასწროთ ნადირებს და იქვე მოეკლათ კეტებით.

ხაშურამდან მომავალ ერთ ამხანაგს დღიურათ დახვედროდა შუა გზაზე მთელი ხროვა მგლებისა. მას ხეზედ ასვლა მოესწრო და იქიდან მოეგერიებინა რევოლვერის სროლით.

კიდევ ბევრ ზარალს აყენებენ მგლები სოფლის მგზავრებს, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთს გავიგებთ ხოლმე შემთხვევით.

გასულ კვირას ზემოავჭალის მახლობლათ შეუჭამიათ სამი მუშა.

ამის გამო მონადირეთა საზოგადოებამ გადასწყვიტა ზომები მიიღოს ასეთი საფრთხის წინაშე.

შაბათს 10 იანვარს—საზოგადოების გამგეობამ გამოითხოვა საკუთარი მატარებელი და ღამის 2 საათზე 150 მონადირე გაემგზავრა ზაჰესისაკენ მგლებზე სანადიროთ.

მთელი კვირა დღე ეარნათ რკინის გზის ახლო-მახლო რაიონებში, მაგრამ ვერავითარი ნადავლი კი ვერ ეშოვნათ.

ასე უშედეგოთ დაბრუნდენ ყველანი ორშაბათ საღამოთი.

ქრონიკა

საქონელი საქართველოსათვის.

იანვრის 20-ს ბათომის ნავთსადგურში შემოვა საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის მიერ დაქირავებული გემი „იაკობ სვერდლოვი". გემი მოიტანს კალას, საფეიქრო და წინდების საქსოვ ქარხნების მოსაწყობ ნაწილებს, სასოფლო-სამეურნეო იარაღებს და სხ.

შავი ქვის გატანა საზღვარგარეთ

შავი ქვის წასაღებათ ფოთის ნავთსადგურში მოვიდა სამი უცხო გემი. ინგლისის გემი „ლოტიკ"-ი წაიღებს 300.000 ფუთს, გერმანიის გემი „ატტიკა"—192.000 ფუთს (ლივერპულისათვის), იტალიის გემი „ჯერმატა"-412.000 ფუთს. ნავთსადგურში ამჟამად სულ სდგას 5 უცხო გემი. ოთხი იტვირთება, გემი „ჯერმატა" კი რიგში სდგას, რადგან ერთდაიმავე დროს ხუთი გემის დატვირთვა შეუძლებელია.

მუშაობის განახლება ზაჰესში.

დიდი ყინვების გამო ზაჰესის სამუშაოებზე შეჩერებული მუშაობა განახლებულ იქნა. მუშაობა სწარმოებს დღისით.

მადლობას უცხადებენ წარმოკავშირს.

11 იანვარს შესდგა სკირის რაიონის მევენახეთა და მეღვინეთა ამხანაგობის წევრთა პირველი საზოგადო კრება. კრებამ მოისმინა რა გამგეობის მოხსენება, ის დასკვნა გამოიტანა, რომ ამხანაგობის არსებობასა და წინსვლაში წარმოკავშირს მიუძღვის დიდი დამსახურება. ამ დახმარების წყალობით თავიდან უსახსრო საზოგადოებამ მკვიდრ ნიადაგზე დააყენა ამხანაგობის საქმე, რისთვისაც კრება გულითად მადლობას უცხადებს წარმოკავშირის გამგეობას და იმედს გამოსთქვამს, რომ იგი მომავალშიაც არ მოაკლებს საზოგადოებას თავის ყურადღებას და მზრუნველობას.

— **სესხი ზაჰესკომისათვის.** ქ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა აილოს სესხი ზაჰესკომის საამშენებლო მიზნებისათვის. სესხი დაფარული იქნება თვით ზაჰესის ჰიდრო-ელსადგურის ექსპლოატაციით.

— **ქალაქის საბჭოს არჩევნებისათვის** ქ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა თბილისის და მისი მაზრის საბჭოების არჩევნების ჩასატარებელი ხარჯთაღრიცხვა.

— ქ. აღმასკომმა დაადასტურა კომუნალურ განყოფილების დადგენილება ქ. ელექტრონის სადგურების სამმართველოს რეორგანიზაციის შესახებ.

— **ტრამვაის უფასო ბილეთების შესახებ.** ქ. საბჭოს პრეზიდიუმმა აღმასკომის თავმჯდომარეს დაავალა საფინანსო და დაინტერესებულ განყოფილებათა გამგეების თანადასწრებით გადასინჯოს ტრამვაის ბილეთით მოსარგებლეთა სია, მისი შემცირების მიზნით.

ა/კ. უმაღლეს ეკ. საბჭომ მიიღო ურთიერთ გამსესხებელ საზოგადოებების ზომიერ წესდების დებულება.

— **აქციზის შეცვლა.** ა/კ. უმაღ. ეკ. საბჭომ შესცვალა აქციზი ლუდზე, კვასზე, თაფლის და ხილის ხელოვნურ წყლებზე.

— **„სახალხო კვება".** ა/კ. უმაღ. ეკ. საბჭომ შესაძლებლად სცნო ამხანაგობა „სახალხო კვების" და მისი განყოფილებების განთავისუფლება სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებისაგან.

— **ქალაქის აბანოებში** დეკემბრის განმავლობაში შემოვიდა 31,992 მან. და 54 კ.

— **ქალაქის 9 სამკითხველოდან** ნოემბერში საკითხავად გაიცა 9,416 წიგნი, აქედან 2.482 საბავშო წიგნებია.

— **ავადმყოფების რიცხვი.** ქალაქის 6 მთავარ სამკურნალოში 1924 წ. 1 იანვრისათვის ითვლებოდა 676 ავადმყოფი, წლის ბოლომდი ჩაირიცხა—10,641 ავადმყოფი, აქედან განიკურნა 10,317 კაცი, მოკვდა —305, ხოლო 1925 წ. 1 იანვრისათვის აღნიშნულ საავადმყოფოებში დარჩა 695 ავადმყოფი.

— **მევენახეობისათვის,** ა/კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარ გარეთიდან შეიძინა ათასი ცალი ვერმორელის აპარატი, (ვენახის სასხურებელი მანქანები).

— **შრომის ბირჟის კომიტეტმა** დაადგინა [illegible] აღრიცხული უმუშევრები, რომლებიც ყოველ თვის 1-დან 15-მდე არ განაცხადებენ საშუამავლო ბიუროში აღრიცხვაზე ყოფნის სურვილს, მოხსნილი იქნებიან აღრიცხვიდან.

— **სამარხი ფული.** დეკემბრის განმავლობაში თბ. დამზღვევ კასამ გასცა დასამარხ ფულად 1,364 მან. და 40 კაპ.

— **დამზღვევ სალაროს შემოსავალი.** დეკემბრის განმავლობაში თბილისის დამზღვევ სალაროს საწევრო გადასახადიდან შემოუვიდა 210.881 მან.

— **დახმარება პენსიონერებს.** დეკემბერში დამზღვევ კასამ პენსიონერებს დახმარების სახით მისცა 12,108 მან. და 40 კ., აქედან შრომის ინვალიდებს—9,272 მან. ქვრივ-ობლებს—2.836 მან.

— **მაზრების რუქები.** შინაგან საქ. სახ. კომისარიატმა მიავლინა მაზრებში ტოპოგრაფი ბარამიძე მაზრების რუქების ადგილობრივ შესადგენათ.

— **ქართველ ექიმთა საზოგადოების** მორიგი კრება შესდგება დღეს, ხუთშაბათს, 15 იანვარს საღამოს 8 საათზე საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში. მოხსენებას გააკეთებენ; პროფ. თიკანაძე—„მუცლის მოწყვეტა სამკურნალო და საზოგადოებრივ თვალსაზრისით". ექ. ჯავრიშვილი—„კანის ფუნგიოზური ტუბერკულოზი" ავადმყოფის დემონსტრაციით.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტის** სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის 1923/4 აკადემიურ წლის მე 4 კურსის კომიტეტი იწვევს რვა სემესტრ მოსმენილ სტუდენტთა საზოგადო კრებას 14 იანვარს საღამოს 5 საათზე. ფაკულტეტის პირველ აუდიტორიაში.

— **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.** აგრონომიულ ფაკულტეტის კურს დამთავრებულთათვის დამს. პროფესორის პ. მელიქიშვილის თავმჯდომარეობით დანიშნულია სახელმწიფო გამოცდების სესია. გამოცდები დაიწყება 15 თებერვალს და გასტანს ორ კვირას. მსურველებმა სათანადო განცხადებანი უნდა შეიტანონ უნივერსიტეტის გამგეობის მდივანთან.

შემთხვევები.

— **ბავშვის დაკარგვა.** გუშინ საღამოს, არჩილ ბუტაშვილმა სისხლის სამართლის მილიციაში განაცხადა, რომ მისი ძმა 14 წლის ალექსანდრე გავიდა სახლიდან 12 იანვარს და უკან აღარ დაბრუნებულა.

— **თვითმკვლელობა.** 12 იანვარს, მილიციის ქ. № 9, გამოურკვეველ მიზეზების გამო რევოლვერით თავი მოიკლა 2 წლის ბავშვმა სარქის სარქისიანცმა.

— **ინდაურების ქურდი.** 10 იანვარს, შეიპყრეს მიხ. გაბისონია, რომელსაც ბრალდება დილომში 5 ინდაურის მოპარვა.

— **გვამის პოვნა.** 12 იანვარს, ანდრეევის ქ. № 15, საკუთარ სახლში იპოვეს უპატრონოდ მკვდარი არხიპო ბზუტოვი, გვამი გადაგზავნილი იქნა რუსპ. მთავარ საავადმყოფოში.

— **კარების მოპარვა.** 12 იანვარს, ელისაბედის ქ. № 147 სახლს ბოროტ-გამზრახველებმა ჩამოხსნეს კარები და კარებიანათ მიიმალენ.

— **ქათმების მოპარვა.** 12 იანვარს, განაპირის ქ. № 14, პაპალაშვილს მოპარეს 8 ქათამი.

— **დაუპატიჟებელი სტუმარი.** 11 იანვარს, ნაზარეთის ქ. № 58, ლუკა ექიზაშვილის ბინაზე შეიპარა ქურდი ვინმე ხაჩაგაშვილი, რომელიც შეიპყრო თვითონ ექიზაშვილმა.

— **ცეცხლი.** 12 იანვარს, პლეხანოვის ქ. № 158 სახლს გაუჩნდა ცეცხლი. რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა.

— **შეპყრობა.** 12 იანვარს, შეიპყრეს მცირე წლოვანი არშაკ ასლამაზოვი, რომელმაც მუშკოოპის მაღაზიიდან (№ 3) მოიპარა ერთი ყუთი მომპასე.

— ამავე დღეს შეიპყრეს ს. ასლანოვი და ა. ქურდაშვილი, რომელთაც ბრალდებათ (ეჯაპის ქ. № 7) ნადია მეფარიანის ბინიდან 75 მ. ფულად მოპარვა.

— **ქურდი ვაჭარი.** 12 იანვარს, ბაყალხანის ქუჩაზე, მოქ. აჯი ნაზი ომარ ოღლის მოპარეს ხურჯინი 40 მან. ნივთებით. ეჭვით შეიპყრეს მოვაჭრე კაშენიანცი.

— **ქურდობა.** 12 იანვარს, პიროგოვის ქ. № 9, ევგენია კარახანოვის ბინიდან წაიღეს 50 მან. ნივთები.

— გუშინ, 13 იანვარს, საღამოს ელისაბედის ქ. № 87 მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს ა. ხიტაროვის ბინა. წაიღეს 117 მ. ნივთები.

— ამავე დღეს ტროცკის ქ. № 8 გაქურდეს ივანე პოლოსოვის ბინა. წაიღეს 85 მ. საოჯახო ნივთები.

— მადათოვის ქ. № 9 ამავე დღეს ალექსანდრე ელენტის ბინიდან მოპარეს 72 მ. ნივთები.

— 11 იანვარს, განაპირის ქ. № 2, მოქ. თედორე ხარიტონოვს მოჰპარეს 20 ქათამი.

— ამავე დღეს, ჩერქეზიშვილის ქ. № 149 ივანე თასიაშვილის სადალაქოდან მოიპარეს 110 მან. ხელსაწყო.

ხელოვნება

— **მსახიობთა კოლექტივის** მიერ დღეს, ოპერის თეატრში ქართული თეატრის 75 წლის აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნება სახალხო მსახიობის ვ. აბაშიძის მონაწილეობით „რაც გინახავს ვეღარ ნახავ" და „რაც არ მერგება, არ შემერგება" დადგმა: ა. წუწუნავასი და ა. ანდრონიკაშვილის.

— **რუსთაველის თეატრში** დღეს გაიმართება სომხური წარმოდგენა.

— **„ქარიშხალის წინა დღეებში".** პარასკევს, 16 იანვარს, სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიხსნება ახალი კინო „აისი". პირველად ნაჩვენები იქნება—„ქარიშხალის წინა დღეებში", დადგმა ა. მარჯანიშვილის.

— **ცირკი.** დღეს ცირკში გაიმართება დუროვის გასტროლი. ნაჩვენები იქნება პირველად „დუროვის რკინის გზა".

— **თეატრი და კლუბები პროვინციებში.** გასული წლის განმავლობაში დუშეთის მაზრაში მუშაობდა სულ 15 თეატრი და კლუბი.

— **აფხაზეთის დრამა.** ამ.-კავკ. უმ. ეკონომიურმა საბჭომ აფხაზეთის ეროვნულ დრამის ასაყვავებლად გადასდო 7 ათასი მანეთი.

— **სახ. კონსერვატორიაში** მეცადინეობა განახლდება პარასკევს 16 იანვარს. გაკვეთილებზე დაშვებულნი იქნებიან მხოლოდ ისინი, ვინც სწავლის ფული შემოიტანეს. ვინც სწავლის ფულს 20 იანვრის შემდეგ შემოიტანს ისინი მხოლოდ 1 თებერვლიდან იქნებიან დაშვებულნი სამეცადინოთ—თანახმად კონსერვატორიის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებისა.

შეცდომის შესწორება: მოსკოვში არსებულ ქართული კულტურის სახლთან არსებობს არა სახალხო განათლების წარმომადგენლობა, არამედ სახელგამისა.

დღეს კინოებში:

— არფასტო—„ელიტა"
— აპოლო—„გრაფ მონტე-კრისტო"
— თვითმფრინავი—„პასიშა"
— მინიონი—„სიკვდილის მხარეში"
— სოლეი—„ელიტა"

მუშათა ცხოვრება

ქარხნის ჰანგები

ალაპარაკდნენ ღვედები.
ქარხანა მღერის, ხმაურობს.
გულ ცეცხლიანი მანქანა
იბრძვის და აურზაურობს.

გააქვს—გამოაქვს ღერძ-ბრუნდე
ტრიალობს დაუზარლადა,
სუნთქავს, ქშინავს მანქანა,
ბოლი ამოსდის შავადა.

შორით შორს ისმის მისი ხმა
მძლავრი და ომახიანი
გარს დასტრიალებს მეცხიმე,
მშრომელი ადამიანი.

ფრთხილობს, უსინჯავს ნაწილებს,
უვლის ვით თავის თვალებსა
თუ საქმე მისგან მოითხოვს,
თავსაც კი ანაცვალებსა.

შრომობენ შეხმატკბილებით
ერთმანეთს შეთვისებულნი
ჰქმნიან და ჰქმნიან სიმდიდრეს,
ლხინი აქვთ გამუდმებული.

მუშა—**შაქრო ნავთლუღელი.**

ალაგმეთ ახალი ჯურის სპეკულიანტები

(ქალ. აღმასკომის ადმინ. განყ. საყურადღებოდ)

ყველასათვის ცხადია, რომ დღეს თბილისში ბინის მწვავე კრიზისია. ამ მდგომარეობით ძალიან მოხდენილად სარგებლობენ ეგრედწოდებული „მაკლერები“, რომელთა რიცხვი ფრიად დიდია ამ ჟამად თბილისში. ეს ვაჟბატონები სტყუებენ წინასწარ ბინის მაძებართ „ფეხის ქირის სახით“ რომოდენიმე მანეთს (5—10 მანეთამდე), ბინას კი თითქმის ვერასოდეს ვერ შოულობენ. ძალიან ხშირად მათ მსხვერპლად ხდება პროვინციებიდან ახლად ჩამოსული სტუდენტობა. ერთი ასეთი მაკლერთაგანი ბრძანდება **ვანო წერეთელი უდელის ქ. სახლი № 14-ს მცხოვრები**, რომელიც ფრიად დახელოვნებულია ბინის მაძებართა უსინდისოდ მოტყუილებასა და გაყვლეფაში.

ამ გარემოებას უნდა მიაქციოს ყურადღება 1 უბნის კომისარმა და აგრეთვე ბინის მაძებრებმა.

ერთი—**მოტყუილებულთაგანი.**

მოგვეცით შრომის ხელფასი დროზე.

(ქ. აღმასკომის საყურადღებოდ)

თითქმის არ დარჩა არც ერთი დაწესებულება და განყოფილება, სადაც არ მიეღოთ წარსული წლის დეკემბრის თვის ჯამაგირი, უკანასკნელ თვის დამლევამდე. მაგრამ რაღაც მიზეზისა გამო სახ. სასამართლოს თანამშრომლებმა, რომლებსაც აკმაყოფილებს ჯამაგირით ქ. აღმასკომი მიიღეს ასეთი ა/წ. 7 იანვარს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში საბინაო სასამართლოებს.

უკანასკნელი სასამართლოს თანამშრომლები განიცდიან დიდ გაჭირვებას ეკონომიურ მხრივ, ვინაიდან დღემდე მათ არ მიუღიათ წ. წ. დეკემბრის თვის ჯამაგირი. ეს უკანასკნელნი ღებულობენ ისედაც მცირე ჯამაგირს და ძალიან უჭირთ ცხოვრება.

ასეთი უმწეო მდგომარეობაში არიან დღეს საბინაო სასამართლოს თანამშრომლები. საჭიროა აუცილებლივ მიექცეს ასეთ არანორმალურ მდგომარეობას სათანადო ყურადღება და სასწრაფოდ იქნენ დაკმაყოფილებულნი ხსენებული თანამშრომლები.

ახ.-კორი—**ყოფ.-ტანჯი.**

რა მიზეზია?

(რკ. გზ. კავშირის სამაახ. მესამე უბნის უფროსის საყურადღებოდ)

მესამე უბნის ტელეგრაფის ზედამხედველები თავგამოდებით მუშაობენ და არ ზოგავენ მთელ თავიანთ ენერგიას ტრანსპორტისთვის, მაგრამ კარგა ხანია, არ მიუღიათ მათ დასასვენებელი დღეები, ანდა არც მის მაგიერ განსაზღვრული ჯილდო. დადებული კოლექტიური ხელშეკრ. გარემოება ჰქმნის მათში უკმაყოფილებას. ხშირად არის ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავს.

რა მიზეზია?

ტეხნიკოსი № 1.

როგორ მოხდა ასეთი უსამართლობა

(რკ. გზ. სამმართველოს და ადგილკომის საყურადღებოდ).

ამ.-კ. რკ. გზებზე ამას წინად მოხდა შტატების შემცირება, და აი სწორედ სტატისტიკის და კარტოგრაფიის ტეხნიკურ საექსპლოატაციო ნაწილში დაითხოვეს ქართული ენის კარგად მცოდნე, კარგი მოსამსახურე, რომელიც ოცი წლის განმავლობაში თავის სამსახურს პირნათლად ასრულებდა. (ქვრივი ქალი, არსაიდან სალსარი არ აქვს), ოლღა ბადრიძე, იმ დროს, როდესაც დასტოვეს ორნი დანი იუზბაშევისა. საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ მოხდა ეს და, ვინ ურევია ამ უსამართლო საქმეში?

მუშკორი **ტამაკინელი.**

გამოგზავნილი წერილებიდან

ალაგმეთ ექსპლოატატორი

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ).

ს. ვედისის (მე-13-ე უბანია) ყოფ. სიხარულიძის ბაღის გამგე, მოქ. ალექსანდრე გეგეჭკორი ამუშავებდა ხსენებულ ბაღში კავშირიდან გაგზავნილ სამ ახალგაზრდა მუშას ვარ. გვალიას, ერ. ცერცვაძეს და ბიქ. ჩაგუნავას დღიურათ. მათთვის სამუშაო დღე არ იყო განსაზღვრული. ვინაიდან ამ ბოროტებას შრომის ინსპექტორი ყურადღებას არ აქცევდა, მოქ. გეგეჭკორი ამით სარგებლობდა და მუშებს დღეში 12 საათს ამუშავებდა. ამას გარდა, თუმცა აღმასკომის გამგე გეგეჭკორს მუშის დღიურ ქირად 1 მ. 40 კ. აძლევდა, ის მუშას 1 მ. აძლევდა. დანარჩენს კი რაში ხარჯავდა არავინ უწყის. საჭიროა ასეთ ექსპლოატატორს ბოლო მოეღოს.

ინფ. **ნ. მ—ძე.**

„ლენინის კუთხე“—კულტურული კერაა მუშისთვის

გზათა პროფგანათლების სამმართველომ ერთ-ერთ თავის განყოფილებაში გახსნა „ლენინის კუთხე“. ეს კუთხე ლიტერატურით მეტად მდიდარია, რაც საშუალებას აძლევს მუშებს ლენინის და მის ცხოვრების და მოღვაწეობის გაცნობის საშუალებას.

სასურველია ასეთი კუთხები მიყრუებულ უბნებშიც გაიხსნას.

ინფ. **ო—ვა.**

მადლიერნიც არ არიან

მთავარი ფოსტის კანტორის დამტარებლები კვირა დღესაც მუშაობენ, მაგრამ ზოგიერთი ადმინისტრატორები და ნოქალაქენი მადლობის მაგიერ უკმაყოფილებას უცხადებენ.

საჭიროა ამ გვარ უმადურობას ჩვენში ადგილი არ ჰქონდეს.

მუშკორი **იორა გ—რული**

რამ გამოიწვია გაძვირება.

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ).

ქალაქის გოგირდის აბანოებში მექისეს ნიხრი ჰქონდა დადებული—25 კაპეიკი კაცის თავზე.

მუშა - მოსამსახურეებს საშვალება ჰქონდათ დაექირავებია მექისე. დღეს კი რაღაც მიზეზის გამო ნიხრი აღარ არსებობს.

მექისეებიც თავაშვებულად ითხოვენ 50—60 კ. რაშია საქმე? რამ გამოიწვია გაძვირება? ბაზარზე ფასებს არ აუწევია და მოსამსახურეებს ჯამაგირი არ მომატებიათ?!

მუშკორი **ქემანი.**

ფაბრიკა-ქარხნებში

— **პოლიგ. განყ. ასოთ-ჩამომსხმელი სახელოსნოში დამუშავების ნორმა იზრდება.** ნოემბერში ქარხანამ დაამუშავა **260 ფუთი ასო**, დეკემბერში კი იგი გაიზარდა **310 ფუთამდე.** ზედმეტი გამომუშავებისთვის მუშებს განსაკუთრებული ხელფასი ეძლევათ.

— **ყინვებმა აქაც იმოქმედა**, ვინაიდან გამუდმებულმა ყინვებმა დახეთქა წყლის მილები, მუშაობა ორი დღე არ სწარმოებდა.

— **ქარხანაში მოეწყო** „ლენინის კუთხე“ და სასადილო, რომელშიაც მუშები ნაკლებად დაიარებიან. ადგილკომმა მიაქციე ამ გარემოებას ყურადღება.

ამჟამად ქარხანა სამუშაოებით დატვირთული ექვსი თვით.

შესაძლებელია მომავალში ქარხანას არ ეყოს დასამუშავებელი მასალა, მაგრამ იმედს ამყარებენ წითელ არმიის მიერ შეპირებულ **1000 ფუთ** კარტეჩზე, რომელიც მას უზრუნველჰყოფს ამ მხრივ.

დაბრკოლება

ქარხნის წარმოების მთავარ დაბრკოლებად ითვლება კვალიფიციური მუშა ხელის უქონლობა, რომლებიც ძალიან ნაკლებად მოიპოვებიან არამც თუ ჩვენში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშიც. ადგილობრივ ქარხანაში მუშაობენ უმეტესად შეგირდები, რომლებიც, როდესაც ამ საქმეში დახელოვნდებიან—მიჰყავთ ჯარში, როგორც გასაწვევ ჰასაკიანი. ეს გარემოება ხელს უშლის კვალიფიციურ მუშა-ხელის შექმნას.

ინფ. **ტონკა.**

ქართულ მსახიობთა ამხანაგობა

ოქტომბრის შუა რიცხვებში შესდგა ქართველ მსახიობთა ამხანაგობა, რომელსაც 40 წევრი ჰყავს. ამხანაგობას განზრახვა ჰქონდა კვირაში ერთი წარმოდგენა გაემართნა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო პირველ დეკემბრამდე სამი წარმოდგენის დადგმის მეტი ვერ მოახერხა. მატერიალური მხრივ ამ წარმოდგენებმა მოგვცა ასეთი შემოსავალი: 1. „მსხვერპლი“-სგან 1.285 მ. 70 კ. 2. „გუშინდელნი“-მ 218 მ. 70 კ. 3. „სპარტაკ“-მა 1.153 მან. 83 კ. **სულ 2.658 მ. 23 კ.**

ხარჯები—გადასახადები: საავტორო ჰონორარი წითელ ჯვარს და აღმასკომს მიეცათ 434 მ. 93 კ. **სცენაზე მომუშავეთ:** ორშაბათობით ნამუშევრის და გენერალ რეპეტიციებისა—481 მ. 76 კ. **სცენისათვის** ტანისამოსის ქირა, დეკორაციების შეკეთება, ორკესტრი და სხვა 365 მ 35 კ; **თეატრის ქირა** 350 მან. **დარბაზის შეკეთება** (ქართ. დივიზ. კლუბისა) —318 მ. 10 კ.; **რეკლამა**, აფიშა, პროგრამა და განცხადებანი 256 მ. 72 კ.; **წვრილი ხარჯი:** პიესების როლების და სხვა—241 მ. 45 კაპ; **მოულოდნელი ხარჯები** —62 მან. სულ 2.560 მ. 01 კ. ამხანაგობას მოგება დარჩა **98 მან. 22 კაპ.**

დასის გამგე ალ. **იმედაშვილი.**

წერილები პროვინციიდან

ს. მარნეულის მცხოვრებთა გაჭირვება

1919—20 წლებში მეტად ცუდ ეკონომიურ პირობებში ჩავვარდი. შვიდი სულის მარჩენალი, ღრმათ ჩამაფიქრა მდგომარეობამ: თვალწინ დამიდგა ორი გამოსავალი გზა: ან სპეკულიაცია ან ხვნა-თესვა; მე როგორც გუთანზე აღზრდილმა ავირჩიე უკანასკნელი. მივმართე მიწად-მოქმ. კომისარიატის გადამსახლებელ განყოფილებას. მათ მომცეს მარნეულში თავისუფალი მიწის ნორმა. შევუერთდი რკინისგზელთა კომუნას და იმდენი სიმინდი მოვიყვანეთ, რომ ჩვენი საკუთარი ოჯახის გარდა ბევრმა სხვამ გაიძღო მუცელი.

პირველ ხანებში აშკარად ეტყობოდა, რომ იქ მცხოვრებნი ჩვენ რკინისგზელები არაფრათ ვეპიტნავებოდით, და აშკარადაც გვეუბნებოდნენ, რომ თქვენ მოსამსახურეებს მიწა არ გეკუთვნისო, ბოლოს საქმითაც დაამტკიცეს ეს: წაართვეს მუშა მაღრაძეს ნორმა და სახლი, გამოეკიდნენ ჯიქის კეტით, როცა ის დათესილ ყანას ფარცხავდა და სხვა.

სარვანის აღმასკომის თავმჯდომარემ გადასცა ჩემი და მეზობლის სამოსახლო მიწა ვილაც სპარსელს მებოსტნეს სოინ-ყულის. ამ უკანასკნელმა სულ ამოსთხარა ჩვენ მიერ ჩაყრილი და გახარებული ვაზის შოლა 2000 ძირიდან, მოსკრა სკრიდან ჩამოტანილი ნერგები 68 ძირი, სულ ამოსთხარა სენაკიდან მოტანილი 200 ცალი აკაციის ნერგები.

მე ვფიქრობდი რაკი დათესილი ორი დესეტინა პური დამიტოვეს, ალბათ მეორე წელს მაინც ჩემს ნაამაგარს მამულს დამანებებენ მეთქი, მაგრამ მოვსტყუვდი. ჩვენმა სავენახეთ გადაბრუნებულმა მიწამ იმისთანა მოსავალი მოიყვანა, რომ წრეულსაც ინება სოინ-ყულიმ მითი სარგებლობა. მივმართე აღმასკომის თავმჯდომარეს (ყოფილი რაიკომის თავმჯდომარე). მან მიპასუხა: „შენ აქაური არა ხარ, და არც მიწა გეკუთვნისო“.

ახალშენის მცხოვრებთა კრებამ მიმართა სათანადო დაწესებულებას თხოვნით გადმოაწეროს მარნეული ისევ ძველებურად თბილისის მაზრაში და ამით მოგვეცეს მშვიდობიანი შრომის საშუალება.

ს. მარნეულის მცხოვრები **გრიგოლ ბედოიძე.**

---

*) მარნეულის მცხოვრებთა ეს საჩივარი გადავუგზავნეთ მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს, რომლის პასუხს ქვევით ვათავსებთ. რ ე დ.

ს. მარნეულის მცხოვრებთა საჩივარზე

ს. მარნეულის მოახალშენეთა საჩივარ - საყვედურებიდან სჩანს, რომ მათი მდგომარეობა გართულებულია და მძიმე.

მათ საჩივარზე **დაუყოვნებლივ იგზავნება მიწის მომწყობი და მიწის მზომელი, საქმის გამოსარკვევათ უეჭველმხრივ ადგილობრივ აღმასკომის წარმომადგენელის მონაწილეობით.** მიწათ მომწყობი განყოფილება და მისი სახალშენო ნაწილი ყოველთვის და ყოველნაირათ ცდილობენ დაეხმარონ მოახალშენეებს და იცავენ მათ კანონიერ ინტერესებს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში როცა საქმე შეეხება ადგილობრივ ხელისუფლების მოქმედებას, მარტო სახალშენო ნაწილს არ შეუძლიან საკითხის გადაჭრა და საქმის გათავება მარტო თავის ძალით. აქ ამ საქმეში ადგილობრივი ხელისუფლება უნდა გვეხმარებოდეს.

რაც შეეხება საყვედურს, რომ სახალშენო ნაწილმა ჯერ „ცეცხლში ჩააგდო“ მარნეულის მოახალშენეები და მერე ყური აღარ ათხოვა,—ეს საყვედური ცოტა უსამართლოა და გადაჭარბებული: ს. მარნეული გაშენებულია 1919—1920 წლებში, მენშევიკების დროს. ადგილობრივი მოსახლეობა მაშინვე მტრულად შეხვდა ამ ჩასახლებას. მოახალშენეები მართლა ცეცხლში ჩააგდო მენშევიკურმა მთავრობამ. რა შუაშია აქ საბჭოთა ხელისუფლების სახალშენო ნაწილი?

მართლა შექმნილია მძიმე და რთული მდგომარეობა, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ და იმედია შევსძლებთ ამ მდგომარეობის გამოსწორებას ისე, როგორც რევოლიუციონური კანონი და სინიდისი გვიკარნახებს. მოახალშენებისადმი მტრული განწყობილება ადგილობრივ მუსლიმან მცხოვრებთა მიერ თუ იყო მენშევიკების დროს ადვილი გასაგებია, მაგრამ ძველი შუღლის ნაშთის დღეს ადგილი თითქმის არსად აქვს, და თუ მარნეულელების მიმართ კიდევ აქვს ადგილი ასეთს,—ეს გაუგებრობის შედეგია.

მიწათ. მოქმ. სახ. კომ. კოლ. წევრი **ი. ჟვანია.**

დიდი-ლილოს გლეხკომის მუშაობა

ნოტიოს თემი (გარე-კახეთი)

1925 წლის 6 იანვარს, ს. დიდი-ლილოში, ადგილობრივი გლეხთა დამხმარე კომიტეტის მუშაობის გამოსარკვევად და სარევიზიოთ გაემგზავრა კომისია ამხ. ნიკო ფირიაშვილის, გრიშა კრავეიშვილის და იაგორ მეფურიშვილის შემადგენლობით. კომისია გაეცნო გლეხკომის საქმის წარმოებას, ანგარიშიანობას და მუშაობას. გლეხკომის მუშაობა ვერ სცნო დამაკმაყოფილებლად.

6 იანვარსვე, საღამოს, ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა გამართეს წარმოდგენა.

წარმოდგენის შემდეგ მოხდა დ. ლილოს სოფლის გლეხთა საზოგადო კრება. რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. იოსებ ხიდონაშვილი. კრების დღის წესრიგში სხვა საკითხთა შორის იდგა საკითხები:

1) გლეხკომის მნიშვნელობა და მისი ამოცანები.

2) დ. ლილოს გლეხკომის მუშაობაზე მოხსენება

3) სარევიზიო კომისიის მოხსენება გლეხკომის მუშაობის ირგვლივ

4) არჩევნები გლეხკომის და მისი სარევიზიო კომისიის.

კრებამ მუშაობა გლეხკომის ვერ სცნო დამაკმაყოფილებლად.

კრებამ აირჩია ახალ გლეხკომში ამხ. ამხ. გიორგი გაბარაშვილი, გიგო თინაშვილი და გიორგი გაბათაშვილი. გლეხთა კრებამ მიიღო დადგენილებები ახალ გლეხკომთან ხელიხელ ჩაკიდებული გლეხების მიერ მუშაობის შესახებ და მით გლეხთა დახმარების საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებაზე.

ხამტრედიელი.

პროვინციის ქრონიკა

— **ცაგერში** გაიხსნა აფხაზეთის საბავშვო სახლი, რომელშიაც მოთავსებული იქნება 100 ბავშვი.

— **მასწავლებელი ქალის გატაცება.** სოფ. ნოგაში (ახალ სენაკის მაზრა) ადგილობრივ მცხოვრებ მასწავლებელმა ჯიქიამ გაიტაცა მასწავლებელი ქალი. ტყეში 3 დღის ყოფნის შემდეგ ქალმა შესძლო გამოქცეოდა ჯიქიას.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღები.** გორის სამაზრო აღმასკომმა მოსკოვში მიავლინა აგრონომი 40000 მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაძენათ.

— **სასოფლო-სამეურნეო სკოლა.** 1 იანვარს წინანდალის სახალხო მამულში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკული კურსები. მეცადინეობა უკვე დაიწყო. მოწაფეები სცხოვრობენ მამულის ხარჯზე.

— **შორაპნის სამაზრო** გლეხკომმა სოფ. საზანოში სკოლის საჭიროებისათვის გადასდო 300 მან. იქვე გაიხსნა გლეხთა კლუბი.

— **თოვლი ხულოში.** ხულოს რაიონში (აჭარაში) ამ ჟამად თოვლის სისქე უდრის 8 არშინს.

— **ქოხ-სამკითხველოები.** დუშეთის მაზრაში გასული წლის განმავლობაში მოქმედებდა 17 ქოხ-სამკითხველო.

— **სანიტარული კომისიები.** დუშეთის აღმასკომმა გადასწყვიტა დაარსოს თემებში სანიტარული კომისიები, მცხოვრებლებში ჰიგიენური პირობების დასაცავათ.

— **ხელოსნობის გასავრცელებლათ.** ქუთაისის ხელოსანთა საზოგადოების კავშირმა შუამდგომლობა აღძრა სოც. უზრუნ. კომისარიატის წინაშე, რათა ხელოსნობის გავრცელების მიზნით, შეგირდები ჩაირიცხონ საზოგადოებაში წევრებათ და იქვე იქნენ დაზღვეულნი, რის შემდეგ ხელოსნები თანახმანი იქნებიან აიყვანონ შეგირდები.

— **მცხეთის სიძველეთა დაცვა.** დუშეთის აღმასკომმა მცხეთის მონასტრის სიძველეთა დასაცავათ ადგილობრივ დანიშნა ერთი დარაჯი.

— **დუშეთის** აღმასკომმა შეაკეთა მეორე ტერლეგიონის ნაწილის ყაზარმა.

— **სენაკის** აღმასკომმა გადასცა ადგილობრივ მდგარ N ლეგიონის მეორე ათასეულს ყაზარმისათვის საჭირო მოწყობილობა.

— **სწავლა-განათლება.** ამ ჟამად მანგლისის რაიონში ითვლება 10 სკოლა, 9 ქოხ-სამკითხველო და 1 საბავშვო სახლი.

— **თემებათ დაყოფა.** დუშეთის მაზრაში ახალ სათემო ერთეულებათ დაყოფა დაიწყება საბჭოთა არჩევნების დასრულების შემდეგ.

— **სოფ. ველისციხის** (კახეთშია) გლეხებმა გადასწყვიტეს დააარსონ სეტყვის წინააღმდეგ შებრძოლი ამხანაგობა.

— **ღვინის მოსავალი.** მუხრანში გასულ შემოდგომაზე მოვიდა 4,500 ვედრო ღვინო.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— თ. ქ. საგ.-საპროპ. განყოფილება აუწყებს პოლიტსკოლებისა, პარტსკოლებისა და წრეების ყველა ხელმძღვანელებს საგ.-საპროპ. განყოფილებაში მიიღონ ყველა მასალები, რომ სკოლებში ჩაატარონ მეცადინეობა შემდეგ თემაზე: „პარტიის ბრძოლა—ლენინიზმის დამახინჯების წინააღმდეგ“.

— მესამე რაიკომი იუწყება: დღეს, 14 იანვარს, სწორედ საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება მესამე რაიონის უჯრედების მდივნთა თათბირი სამხედრო უჯრედების კოლექტივების მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგი: 1. მდაბალ საფეხურიან სამოქალაქო და სამხედრო პარტორგანიზაციების კავშირის შესახებ.

2. მოხსენება განსაკუთ. დანიშ. ნაწილის ორგანიზაციის შესახებ.

— წინადადება ეძლევა ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს ორი დღის განმავლობაში დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნებისა გამოცხადდენ ს. კ. პ. ც. კ—ტის საალრიცხვო განაწილ. განყოფილებაში.

1. ყიფიანი გიორგი. 2. გაგლოევი გრიგოლი. 3. ბეჟიშვილი მელიტონ. 4. ხუბულური დავითი. 5. ჩიხლაძე შილა, 6. სანიკოევი გიორგი, 7. კახაევი. 8. [illegible].

ს. კ. პ. ც. კ—ტის საალრ. განაწილ. განყ. გამგე **ლუკიჩოვი.**

კვირეული ვ. ი. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად.

კვირეულის ჩატარების გეგმა.

1) 16 იანვრიდან 24 იანვრამდე უჯრედების სხდომებზე დასმული უნდა იქნეს შემდეგი საკითხი: „პარტიის ბრძოლა ლენინიზმის დამახინჯებასთან“; აღნიშნული მოხსენების ჩასატარებლათ უჯრედები დაყოფილი არიან შემდეგ ჯგუფებათ:

ა) მბეჭდავთა უჯრედების ბიურო—16 იანვარს ქალაქის აღმასკომის შენობაში, საღამოს 6 საათზე ამხ. **კარკლინის** მოხსენება.

ბ) უმაღლეს სასწავლებლების უჯრედების ბიურო—20 იანვარს, საღამოს 6 საათზე, თეატრ „კატორ“-ში **ფ. მახარაძის** მოხსენება.

გ) ყველა დანარჩენი საწარმოო უჯრედები—18 იანვარს, საღამოს 6 საათზე, თეატრ „კატორ“-ში **გ. სტურუას** მოხსენება.

დ) დაწესებულებების უჯრედები—22 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში ამხ. **ესსენის** მოხსენება.

2) 15 იანვრიდან 24 იანვრამდე ყველა წარმოებებში და დაწესებულებებში ჩატარებული უნდა იქნეს მოხსენებები შემდეგ თემაზე: **„პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ერთი წლის მუშაობა ულენინოთ“.**

ეს მოხსენებები ჩატარებული უნდა იქნეს შემდეგი წესით:

1) სამხედრო-საზღვაო სტამბა, 17 იანვარს, მომხსენებელი **გენკინი**, 2) მე 3 სტამბა, 17 იანვარს, მომხსენებელი **ვირაპი**, 3) 1-ლი სტამბა, 17 იანვარს, მომხსენებელი **ი. ოკუჯავა**, 4) მე-5 სტამბა, 17 იანვარს, მომხსენებელი **გ. სტურუა**, 5) „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, 17 იანვარს, მომხსენებელი [illegible]. 6) პოლიგრაფიული განყოფილების სტამბა, 17 იანვარს, მომხსენებელი **ესსენი**, 7) ლენინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკა, 19 იანვარს. მომხსენებელი **გ. სტურუა**, 8) კ. მარქსის სახელობის თამბაქოს ფაბრიკა, 19 იანვარს, მომხსენებელი **მხიტაროვი**, 9) „25 ოქტომბრის“ სახელობის ასანთის ფაბრიკა, 19 იანვარს, მომხსენებელი **კახიანი**, 10) გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკა, 19 იანვარს, მომხსენებელი **ხაცკევიჩი**, 11) მე-4 სტამბა, 17 იანვარს, მომხსენებელი **რახმანი**, 12) თექა, 19 იანვარს, მომხსენებელი **გენკინი**, 13) მეტყავეები, 19 იანვარს, მომხსენებელი **ისააკოვი**, 14) ცეცხლის მქრობელი რაზმი, 19 იანვარს, მომხსენებელი **ხნეგირევი**, 15) ქალაქის ფურნე, 19 იანვარს, მომხსენებელი **ურუშაძე**, 16) სახალხო კავშირი, 21 იანვარს, მომხსენებელი **ბახტაძე**, 17) ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, 21 იანვარს, მომხსენებელი **კახიანი**, 18) ცენტრალური პარტიული სკოლა, 23 იანვარს, მომხსენებელი **ფ. მახარაძე**, 19) სახელმწიფო უნივერსიტეტი, 21 იანვარს, მომხსენებელი **ფ. მახარაძე**, 20) ამიერ-კავკასიის და საქართველოს საგანგებო კომისია, 21 იანვარს, მომხსენებელი **ისააკოვი**, 21) „ხლებოპროდუქტი“, 21 იანვარს, მომხსენებელი [illegible], 22) [illegible] საგანგებო კომისიის მე-8 პოლკი, 21 იანვარს, მომხსენებელი [illegible], 23) სახელმწიფო ბანკი, 21 იანვარს, მომხსენებელი [illegible], 24) [illegible] სახალხო კომისარიატი, 21 იანვარს, მომხსენებელი **ბახტაძე**, 25) ქალაქის მილიცია, 21 იანვარს, მომხსენებელი **ვარძიელი**, 26) სახელმწიფო თეატრები, 23 იანვარს, მომხსენებელი **ესსენი**. 27) სახალხო კვების კავშირი, 23 იანვარს, მომხსენებელი **ნახარიძე**, 28) ა/კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველო, 23 იანვარს, მომხსენებელი **ხომერიკი**, 29) ა/კ ფინსახკომი, 23 იანვარს, მომხსენებელი **გენკინი**, 30) იუსტიციის სახალხო კომისარიატი, 23 იანვარს, მომხსენებელი **ოკუჯავა**, 31) მუშათა და გლეხთა ინსპექცია, 23 იანვარს, მომხსენებელი **კახიანი**, 32) თბილისის აღმასკომი, 23 იანვარს, მომხსენებელი **ურუშაძე**, 33) სახალხო კომისართა საბჭო, 21 იანვარს, მომხსენებელი **ნემჩინოვი**, 34) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, 23 იანვარს, მომხსენებელი **ვარძიელი**, 35) სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის თბილისის განყოფილება, 24 იანვარს, მომხსენებელი **ხაცკევიჩი**, 36) რეზინის ტრესტი, 24 იანვარს, მომხსენებელი **პიასეცკი**, 37) წყალზე მომუშავეთა კავშირი, 24 იანვარს, მომხსენებელი **რახმანი**, 38) სამშენებლო დარგის მუშების კავშირი 24 იანვარს, მომხსენებელი **ხომერიკი**, 39) სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი, 24 იანვარს, მომხსენებელი **ვირაპი**, 40) ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, 24 იანვარს, მომხსენებელი **სტურუა**, 41) წარმოკავშირი, 24 იანვარს, მომხსენებელი **ურუშაძე**, 42) წითელი ქართლი, 24 იანვარს, მომხსენებელი **ვარძიელი**, 43) სამრეწველო ბანკი, 24 იანვარს, მომხსენებელი **ლეინი**, 44) ქართული [illegible], 24 იანვარს, მომხსენებელი **ოკუჯავა**, 45) საბჭოთა პარტიული სკოლა, 24 იანვარს, მომხსენებელი **ისააკოვი**, 46) მუშათა საბინაო კოოპერატივი, 24 იანვარს, მომხსენებელი **სტილმანი**, 47) სახელმწიფო კონსერვატორია, 24 იანვარს, მომხსენებელი **ბახტაძე**, 48) სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მუშფაკი, 24 იანვარს, მომხსენებელი **ხნეგირევი**, 49) საფაბრიკო - საქარხნო სკოლა, 24 იანვარს, მომხსენებელი **გენკინი**, 50) დიღომი, 15 იანვარს, მომხსენებელი **შ. ლეჟავა**, 51) წყნეთი, 16 იანვარს, მომხსენებელი **მელაძე** და 62) კოჯორი, 16 იანვარს, მომხსენებელი **ფიჩხაძე**.

შენიშვნა: ყველა აღნიშნული ამხანაგები უნდა შეუთანხმდნენ უჯრედების მდივნებს წარმოებების და დაწესებულებების ადგილკომებს იმის შესახებ, თუ სად და რა დროს უნდა იქნეს წაკითხული მოხსენება.

3) 16 იანვრიდან 24 იანვრამდე ყველა სკოლებში და წრეებში ჩატარებული უნდა იქნეს ორი საუბარი შემდეგ საკითხებზე: **„ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა“, „პარტიის ბრძოლა ლენინიზმის დამახინჯებასთან“.**

4) 21—22 იანვარს კლუბებში მოწყობილი უნდა იქნეს მოგონების საღამოები და წარმოდგენები.

5) 19 იანვარს მოწვეული იქნება სადელეგატო კრება, რომელზედაც მოხდება უჯრედების მიერ გამოყოფილ ამხანაგების მიღება კომპარტიის წევრებათ და კანდიდატებათ.

6) ყველა მოხსენებების ჩატარების დროს უჯრედები იწვევენ მათზე მიმაგრებულ სამხედრო ნაწილებს.

შენიშვნა: ის დაწესებულებები, რომლებიც მოთავსებული არიან მეოთხე რაიონში და რომლებიც აღნიშნული არ არიან ამ სიაში, უნდა შეუერთდნენ უახლოეს დაწესებულებას ანდა წარმოებას.

ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის სააგიტ.-საპროპ. განყოფილება.

დედა გულჩინა და მამა იოსებ მიქელაძეები, დედამთილი ნინა და ქმარი ალექსანდრე, მულები გუგული, ჩაჩანა, და ნინა და ვასო ანდღულაძეები, დეიდა ტერეზი და სევერიანე მატარაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქობულეთში უდროვოთ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

თამარ მიქელაძის ასული
ანდღულაძისა

დასაფლავება მოხდება ქუთაისში. 2—2

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები კლემენტი და ნინა ნაცვლიშვილი, ბაბუა ლაზარე ნაცვლიშვილი, ძმები—გიორგი და ვანო ნაცვლიშვილები, ბიცოლები—ნინა და ოლღა, ამით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ სოფელ ბაშში ა. წ. 28 დეკემბერს გარდაიცვალა მათი უძვირფასესი

მარო (ბოგუცა) კლემენტის ასული
ნაცვლიშვილი

რომლის დასაფლავების დღე არის დანიშნული ა/წ. 15 იანვარი. 91 1—1

მსახიობთა ქართული დრამა ამხანაგობა
1924—25 წ. სეზონი
მუდმივი ქართულ თეატრის არსებობის 75 წლ. თავის აღსანიშნავად
სახელმწ. ოპერის თეატრი დღეს, 14 იანვარს
რესპუბლ. სახალხო არტისტის
ვასო აბაშიძის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება: ა. ცაგარელი.
რაც გინახავს, ველარ ნახავ
კომედ. 3 მოქმედ.
რაც არ მერგება, არ შემერგება
ვოდ. 1 მოქმედ. ვ. გუნიასი. ნ. 644 1—1
ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველდღე.
დადგმა [illegible] დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სახელმწიფო დრამა
ხვალ, 15 იანვარს
გააზნაურებული
მდაბიო
ნ. № 634 3—2

სახელმწიფო ოპერა
ხვალ, 15 იანვარს
წინასწარმეტყველი
პარასკევს, 16 იანვარს
ოქროს მამალი
შაბათს, 17 იანვარს
კ ა რ მ ე ნ
ბარონკინას მონაწილეობით ნ. № 633 5—2

მუშკოოპის საწარმოო განყოფილება
იუწყება, რომ ფასები მუშკოოპის საგალეტო და საკანდიტერო ფაბრიკის ნაწარმოებზე
ძლიერ დაკლებულია
დაკვეთები მიიღება მუშკოოპის საწარმოო განყოფილებაში ტელ. 17—77.
საკანდიტერო ქარხნის ტელ. 19—94.
საგალეტო " " 11—15.
მუდამ ახალი ნამცხვარი, საბავშო ფქვილი, ყავა, ტკბილეულობა, მონპასიე, საკანდიტრო ნაწარმოები.
ნ. 649 1—1.
გამგეობა.

თბილისის კომუნალური ბანკისაგან

გაზ. „კომუნისტის“ № 8-ში გამოქვეყნებული იყო განცხადება თბილისის და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში და თბილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ მამულების საჯარო გადასახადების დროზე შემოუტანლობის გამო, საჯარო ვაჭრობით გაყიდვის შესახებ. ამ განცხადების ზოგ ადგილებში შეცდომით ნაცვლად უნდა იქნეს შემდეგი შესწორებანი:

სწერია:
130 | 898 —კირაკაზოვების ისაია ოგანეზის ძისა და კირ კოხ არუთინის ძისა......
36 | 899—დონტისა ეკატერინე ფრიდრიხის ასულის და იაკობ ილიას (იგივე იოგაებ) ძის...
56 | 900. პერესლავცევების ეფემია დან.
207 | 902. ტერ-მხითარიანცისა მარიამ მიხეილის ასულის, მეათე უბანში.

უნდა იყოს:
......კირაკოს არუთინის ძისა......
......(იოგანეს) ძის......
პერესლავცევების ეფემია ივან. ასულის......
......მეხუთე უბანში......
ნ 648. 1—1

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყოფთა
ელექტრონით წამლობა
მიღება საღ. 7—8 საათ.
ლენინის (ოლღას ქ. № 49)
ტელეფ. 4—82. 25—2

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთაველის პროს. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან. 25—4

ექიმი
გ. გ. მეგრაპიანცი
ავადმყოფობა ფილტვების, გულის, ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალერიისა. ელქტრო-სხივებ-რენტგენის ხამკურ. კაბინეტი. ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.
მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვი ქ. № 23
2746 13—13

იყიდება
ორი ინგლისური ახალი
კრაოტი
თავისივე მატრაცებით.
ერთი დიდი გასაშლელი პურის საჭმელი
მაგიდა
8 სტილიური სკამი
მისამართის გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტის“ კანტორაში. ჩარჩებს სთხოვენ თავს ნუ შეიწუხებენ. 8—1

ექიმი
ს. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის, ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი).
ავადმყოფების მიღება 9-დან დღის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების—2-დან 4-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.
3083 25—24

კერძო
გინეკოლოგიური და ქირურგიული
საავადმყოფო
ტერაპევტიული განყოფილებით
სტაციონალურ ავადმყოფთა, გარდა გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს.
ამბულატორული მიღება მეანობაში და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.
ოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13
ცნობების მიღება: ექიმი შახნაზაროვის ტელეფონით № 7—14—4
ნის 372—100—26

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მუსხე
ბავშვთა და მოზრდილთა შინაგან, ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობანი.
ელექტრო-სინათლით საექიმო კაბინეტი. მიღება დილით 10—12 საათამდი, საღამოს 5—7 საათ. გარდა უქმეებისა.
პლეხანოვის პრ., № 111 (ყოფ. მიხეილის ქუჩა), ბინა 2.
№ 2969 25—8

ექიმი
პ. რ. ვართანოვი
სიფილისი. კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.
მიღება: დილით 9—10 ს. საღ. 5—7 ს.
მისამართი: სურამის ქ. № 9. კუთხე სადგურის ქუჩისა. რკინის გზის სამმართველოს მახლობლათ.
25—25

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა
მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. № 3203. 25—14

დაიკარგა თეთრმშრომელთა კავშირის წიგნაკი დანიელ გაბრიელის ძე ვაშაკმაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 89 1—1

დაიკარგა საალრიცხვო ბარათი № 4 მიხეილ ბეჟანის ძე ქვარაიას სახელზე გაცემული ახალ-სენაკის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ. ჩაითვალოს გაუქმებულად. 91 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა შეცვლილი საჭ. ართვ. შინაგან საქმ. სახალ. კომისარიატიდან 21 დეკემბერს 1924 წ. № 242 ინვალიდ ესტატე მერაბის ძე ალ. სანიას და მისი ცოლის ნადეჟდას სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 90 1—1

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა სამა წულუკიძის ქუჩა № 4.